# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 22 ნოემბერი. 2023 წ. №130 (9662) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


**SOS!** — ქვეყნის დაცვის უნიჭობა!



იხ. 5 გვ.

## პარაზიტი, შარვალ-ჩახდილი, ნარკომანი გირჩელების ჭკუაზე თუ ვიარეთ, ქვეყნის უსაფრთხოებას და თავდაცვას ძირი გამოეთხრება!

**რა შემთხვევაში გაიწვევენ სტუდენტსა და სასულიერო პირს ჯარში?!**

## ხვალ გიორგობაა, გილოცავთ!




23 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღეს, რომელიც გადმოცემით მის ნათესავს — წმინდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად.

...წმინდა დიდმოწამე გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველია. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმინდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელზეა აგებული.

ტრაგიკომედიანტები

## მედუქნე ილოს არგაბოზების მაგალითიც არ იციან!..



იხ. 3 გვ.

## კუდგაბარებულთა დოლი

გია აბაშიძე:

## „ბოროტი კლოუნი“ ჭიჭე ვაშაძე პარლამენტში და ტაკიმასხარები ახალი გეგმებით...



იხ. 3 გვ.

საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად

## პაატა ნაცვლიშვილის „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“



იხ. 9 გვ.

თემურ ჯაგოდნიშვილი

## მრწამსით და რწმენით აზომილი გზა



იხ. 6 გვ.

# კეთილი რჩევა კეთილშობილ... კეთილებმოკითხულ პარლამენტარებს!



**გეჭდურ და ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებში გაჟღერდა სანდო ცნობა-ინფორმაცია, რომ პარლამენტარებს ხელფასები გვარიანად ეზრდებათ! გულწრფელად გეტყვით, ეს ინფორმაცია კიდევ უფრო დიდ მოტივს გააჩენს ამ ორგანოში ამბიციურ კარიერისტთა და ბიუჯეტის მჭამელ მლიქვნელ-ქვემძრომთა ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო სალაყბოში შესასვლელად.**

თუ გულახდილი ვიქნებით, ეს ერთობ არასასიამოვნოა, რადგანაც პარლამენტარობის მოტივაცია უნდა გაუჩნდეთ წარჩინებულ მრეწველებს და ფერმერებს, თუნდაც მომსახურების სფეროს მუშაკებს, ყველაზე გამორჩეულ მეცნიერებს, სხვადასხვა დარგის ინტელიგენციას და არა მარტოოდენ ყარტაყურტა იურისტებს, განსაკუთრებით, ყველაფრის მკადრებელ ვექილ-ადვოკატებს!

ამ წერილის მოწერა კი გადაგვაწყვეტინა ერთმა გარემოებამ: ჩვენი მამები მრავალი წელი 31-ე საავიაციო ქარხანაში მუშაობდნენ. დილით ქარხნის ავტობუსი 7 საათზე წაიყვანდა ჩვენს მამებს... საღამოს კი გვიან მობრძანდებოდნენ... ისინი მთელი დღის განმავლობაში შრომობდნენ და ქვეყანას, ხალხს მართლაც მუხლჩაუხრელად ემსახურებოდნენ. ღირსების ორდენებითაც დააჯილდოვეს, თუმცაღა იქვე, ერთი მეზობელი, რომელმაც მთელი ცხოვრება სატუსაღოში გაატარა და საზოგადოებისთვის, თუნდაც თავისი ოჯახისთვის არაფერი შეუქმნია, ზუსტად იმდენ პენსიას იღებდა, რამდენსაც ჩვენი მამები. იცინოდა ჩვენი ქურდი კოლა, „ღირსეულად ხომ დაგაფასესო“!

ნუთუ არ დადგა დრო, საზოგადოების პატივსაცემი ადამიანები, თუნდაც ქურდებისგან, კრიმინალებისგან, უსაქმური პარაზიტებისგან განსხვავებით 50-100 ლარით მეტ პენსიას იღებდნენ!

პოლიციასა და ჯარშიც კი პენსიები და ხელფასები საკმაოდ გაზრდილი სახით უნდა მიიღონ.

**ნუთუ სამეცნიერო, ტექნიკურ და შემოქმედებით ინტელიგენციას, 40-50-წლიანი სტაჟის მქონე, უბრალო ადამიანებს ოდნავ დაფასება და წახალისება მაინც არ ეკუთვნით?!**

**გირჩევთ, ძვირფასო პარლამენტარებო, ჯერ მართლაც ღირსეულ ხალხს მიხედოთ და საკუთარ მსუყე-ფუყე ხელფასებზე მერე იზრუნოთ!**

**ჯემალ თავხელიძე,**
**სერგო ჯაფარიძე,**
**კოტე ხვედელიძე,**
**სოსო გუბელაძე**
**და სხვ;**
**სულ 36 ხელმოწერა.**



# ვისი ხელი ურევია გარეჯის გასხვისებაში?

**თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დავით გარეჯის საქმეზე იკითხება.**

ზურაბ ნოღაიდელმა გაიხსენა, როგორ მოხდა 2005 წელს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დავით გარეჯის საკითხის განხილვა. მისი განცხადებით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი მალხაზ მიქელაძე, რომელიც იყო სადემარკაციო კომისიის თავმჯდომარე, ამტკიცებდა, რომ გარეჯის ის მონაკვეთ, რომელზეც დავა მიმდინარეობს, არის აზერბაიჯანის მხარეს.

როგორც ნოღაიდელმა თქვა, იყო კატეგორიული მტკიცება, რომ ტერიტორიები, მათ შორის ქართული მონასტრები, მათ შორის ჩიჩხიტურის მონასტერი, აზერბაიჯანის იურისდიქციას განეკუთვნებოდა.

ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი, მთავარი პირი იმ პერიოდში იყო საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და უშიშროების საბჭოზე საკითხები არ მიიღებოდა სააკაშვილის გარეშე.

**„2005 წელს საკითხი იქნა განხილული უშიშროების საბჭოს სხდომაზე ჩემი თანდასწრებით. შესაბამისად, იქ დაისვა საკითხი, რომ დავით გარეჯის ის ნაწილები, რომელზეც აქ მიმდინარეობს საუბარი, არის შანსი თუ არა, რომ იყოს საქართველოს შემადგენლობაში. კომისიის თავმჯდომარემ, უშიშროების საბჭოს მაშინ მისცა განმარტება, რომ ჩვენ ხელთ არსებული ყველა საბუთის, დოკუმენტის და რუკის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს რჩება აზერბაიჯანის მხარეს. მალხაზ მიქელაძე იყო თავმჯდომარე. ჩვენი ამოცანა გახდა, რომ მონასტერი შენარჩუნებულიყო როგორც ქართული მონასტერი, ეს იყო ჩვენ წინაშე დაყენებული ფაქტობრივი ამოცანა. უშიშროების საბჭოს მართავდა მაშინდელი პრეზიდენტი, ეს იყო მისი უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილებას მხოლოდ პრეზიდენტი იღებდა“,** – განაცხადა ნოღაიდელმა.

პროკურორის კითხვაზე, განიხილებოდა თუ არა ეს საკითხი მთავრობის ფორმატში, ნოღაიდელმა აღნიშნა, რომ არ განხილულა.

**„ეს არ იყო ჩემი კომპეტენცია, მე ამ საკითხს არ ვიხილავდი. ამ საკითხის ჩემთან შეთანხმება არც საჭირო იყო და არც სავალდებულო. ეს იყო პრეზიდენტის კომპეტენცია“,** – განაცხადა ნოღაიდელმა.

## ირაკლი კობახიძე: მიხეილ სააკაშვილი სიმულანტია! ასეთ დროს პოლიტიკური იმიჯის შენარჩუნება წარმოუდგენელია!



**მიხეილ სააკაშვილი ორი წელი კვდებოდა, მისი მობრუნება იყო შეუძლებელი, თუმცა ვხედავთ, რომ მობრუნდა, აღარ კვდება, მისი დამოკიდებულება არის აბსოლუტურად არასერიოზული, არაადეკვატური,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა. კობახიძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი ორი წელი იტყუებოდა, რომ კვდებოდა.

**„სიმულანტობდა ორი წელი, ბოლომდე დააზიანა საკუთარი რეპუტაცია. დარწმუნებული ვარ, მის მხარდამჭერებს შორისაც კი შეელახა მას რეპუტაცია. როდესაც საკუთარი მხარდამჭერი გიყურებს და ხედავს, რომ სიმულანტობ, ასეთ დროს პოლიტიკური იმიჯის შენარჩუნება არის წარმოუდგენელი.**

**ასეთ დროს მისი სურვილი, რომ მობრუნდეს პოლიტიკაში, წარუმატებლობისთვის არის განწირული“!..**

## 2024 წლის არჩევნები იქნება თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული

**არჩევნები იქნება თავისუფალი, დემოკრატიული, კონკურენტული, როგორც იყო ყველა წინა შემთხვევაში,** – ამის შესახებაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

**„2012 წელს საქართველოში დასრულდა არჩევნების ტოტალური გაყალბების პრაქტიკა. მის შემდეგ ტარდება დემოკრატიული, კონკურენტული არჩევნები და ეს არჩევნებიც იქნება თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული“...**

# ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველო მზადაა, კვლავაც შეიტანოს თავისი წვლილი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საკითხებში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მინისტრს ლეო დოქერტის შეხვდა.**

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში არსებული თანამშრომლობა განიხილეს. მხარეებმა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივებზე იმსჯელეს. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ მნიშვნელობას, რომელიც სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებას უწყობს ხელს. ყურადღება დაეთმო საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით რეკომენდაციას.



განსახილველ საკითხებს შორის ასევე იყო რეგიონსა და მსოფლიოში არსებული გარემო და გამოწვევები. ყურადღება გამახვილდა იმ პოზიტიურ როლზე, რომელიც საქართველოს შეუძლია, ითამაშოს სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად. ირაკლი ღარიბაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, საქართველომ კვლავაც შეიტანოს თავისი წვლილი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ირაკლი ღარიბაშვილმა ლეო დოქერტის საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, ასევე ? სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში გაერთიანებული სამეფოს მიერ შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ ვითარებაზე და ლეო დოქერტის საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი, გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ სამეზობლოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ქეითი დანი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე ესწრებოდნენ.

# კუდგაბარებულთა დოლი

## მედუქნე ილოს არგაბოზების მაგალითიც არ იციან!..

...ეს ძველ დროში იყო ძნელი აგენტის გამოვლენა. ახლა ყველას შუბლზე აწერია, თანაც დიდი ასოებით. მეტიც, თუ ამ საძრახისი სტატუსის დამგმობ გამჭოლ მზერას მიაპყრობ, აქეთ დაგამუნათებს, შენ მე რუსეთის აგენტი ხომ არ გგონივარ, დიდომში ჭრელი დროშა რომ ფრიალებს, იმ დიდი შენობის ტალანების მუდმივი საშვი მიდევს გულის ჯიბეშიო.



იმ საქციელით, რაც **ჩვეულებრივი, ადამიანური ნორმებით სამარცხვინოდ ითვლება,** ადრეც ბევრს მოუწონებია თავი. თემა არახალია. საფრანგეთის სამეფო კარის ფავორიტი, **მადამ დე პომპადური,** მისკენ ალმაცერად მზირალ მავანს და მავანს, თურმე, თანამედროვე ქართველი კუდგაბარებულების „შინაგანი ლოგიკით“ გადაასხამდა ხოლმე ცივ წყალს – **„მონ შერ, მთავარი ის კი არ არის, რომ გყიმავენ, მთავარია – ვინ გყიმავს“**. მაგრამ მაშინ ასეთები თითებზე ჩამოსათვლელი გამონაკლისები იყვნენ.

ამ „გახსნილმა თამაშმა“ აშკარა პრობლემები შეუქმნა „სტრატეგიულ პარტნიორს“. **ჭადრაკის დაფაზე უჯრედები აშკარად არ ჰყოფნით ქვეყნის დამაზიანებელთა განსალაგებლად.** უფიქრიათ, უფიქრიათ და ახალი დავალება გაუციათ – დაჯგუფდით და საარჩევნო მარათონში ჩაებითო. ვიღაცებს დაუწუნიათ, მერე ხუთი პროცენტიო?! იმათ კიდევ – **რით ვერ გაიგეთ, არჩევნებს ვერც ასე ვიგებთ და ვერც ისე, საბრძოლო მზადყოფნა მეორე დღისთვის არის გამოცხადებული, მე-ო-რე დღის-თვის-ო, ვახ(!).** მერე მრავალმნიშვნელოვნად დაუმატებიათ, **ხომ დავაანონსეთ, ელექტრონული არჩევნები გაყალბების წინაპირობააო?**

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ორბელიანის სასახლის ლეგიტიმაციადაკარგულ დიასახლისს** უბრძანებია, გეგმა იცვლება, სხვა სახის ძირგამომთხრელობას ვიწყებ, საარჩევნო მარათონში უნდა ჩავებაო და პირველი მესიჯიც გამოუცხვია – **„ქართველ ხალხს მივმართავ, დაეთანხმოს იმ პოლიტიკას, რომელსაც მივყვებიო...“**

ხედავთ, ხალხო, ჩვენგან ითხოვს, უფრო სწორად, მოითხოვს მხარდაჭერას... ერთი ეპიზოდი მახსენდება ცნობილი ქართული ფილმიდან „ხარება და გოგია“: **მედუქნე ილოს** ჩაფრები მოსთხოვენ, ჩვენთან უნდა ითანამშრომლოო... ჰოდა, ეს უწყინარი კაცი ერთს ჩაიბურდღუნებს, **„ამათ ჩემი გაბოზება უნდათო“,** წინსაფარს მოიხსნის, დუქანს დაკეტავს, გუდა-ნაბადს აიკრავს და **უსამართლობასთან მებრძოლი ბიჭების რაზმს შეუერთდება.**

ეჰ, მადამ დე... სალომეა... მოკლედ გეტყვით – **მედუქნე ილო მართალი კაცია, რადგან ღმერთისგან დალოცვილ გზას არის შემდგარი(!)...** მაგრამ... თქვენ ამას ვერ გაიგებთ...

**ბიძინა დვალი**

19.11.2023 წ.

---

**გია აბაშიძე:**



# „ბოროტი კლოუნი“ ჭიჭე ვაშაძე პარლამენტში და ტაკიმასხარები ახალი გეგმებით...

**15 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი ოფიციალურად უნდა მიანიჭოს. ამის შემდეგ საქართველო სხვა კანდიდატ ქვეყნებთან ერთად შეუდგება ევროკავშირში გაწევრების გზას. როგორც ჩანს, ეს გზა რთული და ამავე დროს ხანგრძლივი სავალია. საქართველოს კონკრეტული რეკომენდაციები აქვს შესასრულებელი, რომ ევროკავშირის წევრმა 27-ვე ქვეყანამ მხარი დაუჭიროს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ევროკომისიამ ხელისუფლებას 9 პირობა დაუწესა. მათგან რამდენიმე ახალია, მათ შორისაა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება, ეროვნული ბანკისა და კომუნიკაციების კომისიის დამოუკიდებლობა და, რა თქმა უნდა, – დეპოლარიზაცია.**



მიუხედავად რეკომენდაციებისა, რადიკალური ოპოზიცია მზად არ არის კონსტრუქციულ რეჟიმში გადაიყვანოს სამუშაო პროცესი. კვლავ დაიწყო სპეკულაციები, რომ ეს არის დათქმა და ამ აღსრულების მიღების გარეშე საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიეცემა. როგორც ჩანს, ოპოზიციის გეგმა უცვლელია – პროცესების რადიკალიზაცია. მმართველ პარტიას არ აქვს იმედი, რომ ევრორეკომენდაციების შესრულების პროცესში ოპოზიცია მონაწილეობას მიიღებს.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, **მაკა ბოჭორიშვილი** აცხადებს, რომ მიუხედავად უსაფრთხოების გამოწვევებისა, რაც საქართველოს წინაშე ათწლეულებია დგას, შეძლეს ქვეყნის ტრანსფორმაცია, წარმატებული რეფორმების გატარება და ქვეყანა დემოკრატიული სამყაროს ღირებულ ნაწილად იქცა.

**„საქართველომ, უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად, გასულ წელს გააკეთა განაცხადი ევროკავშირში წევრობაზე. ჩვენ მადლიერი ვართ მონიჭებული ევროპული პერსპექტივისთვის, მაგრამ არ დაგვიმალავს იმედგაცრუება საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას შორის არასაჭირო დიფერენციაციის გამო. იმედი მაქვს, დეკემბერში, ევროპული საბჭო მხედველობაში მიიღებს ევროკომისიის ანგარიშებს და რეკომენდაციას, მიანიჭებს საქართველოს კანდიდატის სტატუსს და საქართველო სხვა კანდიდატ ქვეყნებთან ერთად შეუდგება ევროკავშირში გაწევრიანების გზას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროპის უკეთესი მომავლისთვის“**, – განაცხადა **ბოჭორიშვილმა.**

საქართველოს პრეზიდენტი კი, ქართველ ხალხს მიმართავს, დაეთანხმოს იმ პოლიტიკას, რომელსაც თავად მიყვება და ფიქრობს, რომ საუკეთესო თავდაცვა ევროკავშირის სოლიდარობაა. **სალომე ზურაბიშვილის** განცხადებით, საბოლოოდ, რუსეთისთვის წითელი ხაზი ევროკავშირისა და ნატოს ხაზია.

**„ზოგიერთი ლიდერი შთაბეჭდილების ქვეშაა, რას შეიძლება ცდილობდეს რუსეთი საქართველოში თუ საქართველოს მიმართ, უკრაინაში მარცხის დასაკომპენსირებლად – ზოგიერთი ადამიანი ასეთი პერსპექტივის მიმართ შესაძლოა, შიშს გრძნობდეს, მაგრამ მე ამას არ ვიზიარებ – ვფიქრობ, საუკეთესო თავდაცვა ევროკავშირის სოლიდარობაა.**

**საუკეთესო თავდაცვა ჩვენს საზოგადოებასთან, ჩვენს ოჯახთან ყოფნაა. რასაც ვხედავთ ისაა, რომ საბოლოო ჯამში, რუსეთისათვის წითელი ხაზი ევროკავშირისა და ნატოს ხაზია. სწორედ ეს უნდა ჩემს ქვეყანას, ეს უნდა მოსახლეობას. ახლახან გამოქვეყნდა საზოგადოებრივი გამოკითხვა, სადაც ჩანს, რომ საზოგადოების მხარდაჭერა ევროკავშირისადმი 80%-დან 86%-მდე გაიზარდა და ნატოსადმი მხარდაჭერა 72%-დან – 76%-მდე“**, – განაცხადა **სალომე ზურაბიშვილმა.**

ოპოზიციის მიზანი არ არის დეპოლარიზაცია, ამის შესახებ საუბრობენ ანალიტიკოსებიც და საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხს, ოპოზიციის მხრიდან, ხელოვნურად გაცოცხლებულ თემას უწოდებენ, რადგან ევროკომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ, რადიკალები რევოლუციური გეგმების გარეშე დარჩნენ და ახლა საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხით სპეკულაციების მოწყობას ცდილობენ. ანალიტიკოს **გია აბაშიძის** განცხადებით, ერთია, რას ამბობს დესტრუქციული ოპოზიცია, რა მავნებლურ მესიჯებს აგზავნის საზოგადოებაში, მაგრამ მეორეა, რას ამბობენ ევროპელი ლიდერები, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

**„საქართველო საკუთარი რეფორმატორული გზით იმსახურებს, რომ ევროპულმა საბჭომ 15 დეკემბერს მიანიჭოს კანდიდატის სტატუსი, უკვე ოფიციალურად. მაგრამ შეკითხვა, რომელიც საზოგადოებაში არის აქტუალური, რა უნდა ოპოზიციას – პასუხგაცემულია ამ ოპოზიციისვე განცხადებებით და ქმედებებით, რასაც ჰქვია მუდმივად ხელი შეუშალოს საქართველოს წინსვლას, მათ არ ახარებთ არც ერთ წარმატება, რომელსაც ქართველი ხალხი და ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება აღწევს. ცდილობენ დეზინფორმაციით, მანიპულაციით და სხვადასხვა ხრიკებით როგორმე საქართველომ გადაუხვიოს მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების გზიდან“**, – აცხადებს **აბაშიძე.**

რაც შეეხება დეპოლარიზაციას, მისი თქმით, როდესაც ასეთი რადიკალები და სახელმწიფოს მტრები არიან პოლიტიკურ ველზე, მათთან რაღაცა კონსტრუქციულზე საუბარი, შეუძლებელია.

**„ერთი, რომ არიან დესტრუქციულები, მეორე, რომ მათ აკლიათ პროფესიონალიზმი დარგობრივ ცოდნაში და არიან გაუნათლებლები. ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ხაზეიშვილს ან მის გარემოცვას სერიოზულად დაელაპარაკო საქართველო-ევროკავშირის ინტეგრაციაზე, საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობაზე და ა.შ. მათ აქვთ ფარატინა, გახუნებული ლოზუნგები, „რუსული ოცნება“, „რუსული ხელისუფლება“, დაგამხობთ და ა.შ. მათ საზოგადოებისთვის არ შეუთავაზებიათ არაფერი ისეთი შინაარსობრივი პროექტი ან პროგრამა, რითაც დააინტერესებდნენ თუნდაც დამატებით ამომრჩეველს. ნებისმიერი პოლიტიკური პარტია არჩევნებამდე იბრძვის იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური პარტია მოიზიდოს სხვადასხვა არაპოპულისტური პროგრამების წარდგენით და საბოლოო ჯამში, ამომრჩეველი წყვეტს საარჩევნო უბანზე. ამიტომ, დეპოლარიზაციის მოწოდება იქნება ევროპიდან, ამერიკიდან, საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან და ა.შ. ეს არის შეუძლებელი“**, – ამბობს **ანალიტიკოსი.**

როგორც აბაშიძე ამბობს, ანალოგიური ვითრებაა ამერიკაში, ევროპაში, სადაც ერთმანეთს დაპირისპირებული არიან კონსერვატორები და ლიბერალები, რაც გლობალური სენია და ასეთი დეპოლარიზაციული ექსპერიმენტის ჩატარება საქართველოში ძალიან ფუჭია და არაფრის მომტანია არსებული რეალობიდან გამომდინარე.

**„ჩვენ არაერთგზის ვიხილეთ თუნდაც ევროკომისიის რეკომენდაციამდე, როგორ იმუქრებოდნენ ეს ნაცმარგინალები, მათ შორის ერთ-ერთი იყო ის ბოროტი კლოუნი, რომელსაც ჰქვია გიორგი ვაშაძე, რომელმაც იარაღის გამოყენებაზეც კი გააკეთა პირდაპირი მინიშნება. აქ არაფერი არ არის გასაკვირი. ჩვენ ვიხილეთ 7-8 მარტს როგორ წააქეზა ოპოზიციამ პარლამენტის შტურმზე საკუთარი აქტივისტები და როგორ წააქეზა ამ დესტრუქციულმა ძალამ პოლიციელებზე თავდასხმისთვის. აი, ეს არის მათი სახე. ეს ხდება კრიმინალი სააკაშვილის კარნახით და დირექტივით, რომელიც რატომღაც ჯერჯერობით არ გადაუყვანიათ კუთვნილ სატუსაღოში. ის პოლიტიკურად საკმაოდ აქტიურია ამ მხრივ და დიდი ხანია საჯარო დირექტივებს იძლევა სოციალური ქსელიდან. მაგრამ აქ მთავარი რა არის – საზოგადოებამ დიდი ხანია გაიგო რაში მდგომარეობს ოპოზიციის დღის წესრიგი, რომ ეს არის უწინარესად რევანშიზმი. ხელისუფლებაში, თუნდაც ჰიპოტეტური დაბრუნების შემთხვევაში, ეს რევანშიზმი გამოიხატება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების რეპრესიებით და ამას ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა ე.წ. შავი სიებით, რომელსაც წლიდან წლამდე ადგენენ, განსაკუთრებით აქტიურდებიან ხოლმე წინასაახალწლოდ ან რელიგიური დღესასწაულების წინ.**

**ახლა რუსულ ფულზე დამოკიდებულებმა შექმნეს ე.წ. საიტი Mona.ge, სადაც ვინც კი ღირსეული ადამიანია, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, „ქართული ოცნების“ შემომწირველები, სუს-ის წარმომადგენლები, პოლიციელები შეჰყავთ ე.წ. შავ სიაში, რაც ტრაგიკომიკურია. ის გეგმა, რომელიც მათ აქვთ ჩაფიქრებული – თითქოს 2024 წლის არჩევნებში გაიმარჯვებენ და შემდეგ დაიწყებენ მასობრივ რეპრესიებს, რასაკვირველია, მორიგ ჯერზე ჩაუვარდებათ“**, – აღნიშნა **გია აბაშიძემ.**

ესაუბრა

**თამთა ქარჩავა**

# სახელდაკარგული სააკაშვილის ოინები ხელისუფლებას აძლიერებს!



**„მიხეილ სააკაშვილის განცხადება შეწყალებასთან დაკავშირებით არის იმის აღიარებითი ჩვენება, რომ სალომე ზურაბიშვილი სხვა ქვეყნიდან იმართება. სააკაშვილმა დღეს პირდაპირ განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილს სხვადასხვა ქვეყანაში მისი შეწყალება უბრძანეს“,** – ამის შესახებ მედიასთან „ხალხის ძალის“ წევრმა, ანალიტიკოსმა **თამარ ჩიგურდანიძემ** განაცხადა.

მისი თქმით, თუკი გადაუწყვეტელი ამომრჩეველი დაინახავს, რომ ოპოზიციურ ფლანგს სააკაშვილი ჩაუდგება სათავეში, ის არჩევნებზე აუცილებლად მივა და ხელისუფლება ბევრად უფრო მეტ ხმას მიიღებს.

**„სააკაშვილმა ამ დღეებში პირდაპირ განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილს სხვადასხვა ქვეყანაში მისი შეწყალება უბრძანეს. ანუ, სალომე ზურაბიშვილი სხვა ქვეყნის აგენტია. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დღეს მიხეილ სააკაშვილის მხრიდან გავიგეთ. შეიწყალებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი მას, ეს უკვე მათი დღის წესრიგის ნაწილია, თუმცა, არა მგონია უცხოეთი ასე არაგონივრულად მოიქცეს სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით, რადგან მისი ციხიდან გამოსვლით და საქართველოში, პოლიტიკაში დარჩენით, როგორც თავად აპირებს (პრემიერ-მინისტრობასაც კი გეგმავს, თავისი გადმოსახედიდან), ოპოზიციური ფრთა კი არა, სახელისუფლებო ფრთა გაძლიერდება. ზუსტად იმის ანალოგი მოხდება, რაც სალომე ზურაბიშვილის არჩევნების მეორე ტურზე მივიღეთ, როდესაც ხალხი არ გამოვიდა არჩევნების პირველ ტურზე, რადგან მათ არ მოსწონდათ სალომე ზურაბიშვილი, მაგრამ გამოვიდა მეორე ტურზე მხოლოდ იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში არ დაბრუნებულიყო.**

**იმ 40%-ის ხმა, რომელიც სხვადასხვა კვლევაში ჯერ თავის არჩევანს არ აფიქსირებს (და საერთოდ, არჩევნების წინ, ერთი წლით ადრე, სტანდარტია, რომ გადაუწყვეტელი ამომრჩეველი 40-45%-ს შეადგენდეს), ოპოზიციას არ ეკუთვნის. იმიტომ, რომ ოპოზიციას ვინც აძლევს ხმას (მით უმეტეს, დღეს, როცა ამის გამო არავის არ ავიწროებენ), ისინი ამას ღიად აფიქსირებენ. იმ 40-45%-ში, სულ ცოტა, 10-15% ხელისუფლების მხარდამჭერია. იქ არის ძალიან ბევრი ისეთი ამომრჩეველი, რომელიც ფიქრობს, რომ ამ სახედაკარგული და დაქსაქსული ოპოზიციის ფონზე ხელისუფლება მით უმეტეს გაიმარჯვებს; არიან ისეთებიც, რომლებიც განაწყენებულები არიან და საერთოდ არ დადიან არჩევნებზე, მაგრამ, თუკი ისინი დაინახავენ, რომ ოპოზიციურ ფლანგს სააკაშვილი ჩაუდგება სათავეში და ის საფრთხე, რაც მათთვის მანამდე არარეალური იყო, რეალური გახდება, გარეთ აუცილებლად გამოვლენ, აქტივობა საგრძნობლად გაიზრდება და ხელისუფლება ბევრად უფრო მეტ ხმას მიიღებს, ვიდრე ამის მოლოდინი არსებობს“!..**



**თამარ ჩიგურდანიძე**

## შალვა პაპუაშვილი:

# რატომ შემოაპარეს სააკაშვილი საქართველოში, ამაზე ბიძამისიც საუბრობდა

**ზოგადად, მიხეილ სააკაშვილის, როგორც ფიგურის ან პერსონის დანიშნულება არის სწორედ ის, რომ არიოს სიტუაცია საქართველოში,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

მისი თქმით, საზოგადოებისთვის ნათელია, რა მიზნები ჰქონდათ იმ ჯგუფებს, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს, რომლებმაც მიხეილ სააკაშვილი 2021 წელს შემოაპარეს საქართველოში.

შალვა პაპუაშვილი აქვე გამოეხმაურა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას იმ განცხადებას, სადაც მან აღნიშნა: **„სად გინახავთ წართმეული ტერიტორიის მარტო მშვიდობიანი გზით დაბრუნება, დავიჭიროთ სანთელი, სამჯერ შემოვუაროთ აფხაზეთს, ვთქვათ „ფუი, ეშმაკს“ და დაგვიბრუნდება. ეს არ მოხდება“.**

**„ციხეში იქნებოდა ის, უკრაინაში თუ ამერიკიდან გველაპარაკებოდა, მისი მთავარი მიზანი და მისი, ასე ვთქვათ, როგორც ინსტრუმენტის მთავარი დანიშნულება, არის, რომ არიოს სიტუაცია საქართველოში. ნახეთ თქვენ, ბიძამისის გამოსვლა, რომელიც საუბრობდა გახლეჩაზე, დაყოფაზე, მათ შორის სამხედრო გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. სწორედ ეს ადასტურებს კიდევ ერთხელ, რა მიზნები ჰქონდათ იმ ჯგუფებს, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს, რომლებმაც სააკაშვილი შემოაპარეს საქართველოში 2021 წელს, რომ აერიათ ქვეყანა არჩევნების წინ. მათ შორის მათი მიზანი იყო, რომ ამ პერიოდში, როდესაც მიდის რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, ჩვენთანაც არეულიყო სიტუაცია. ეს ყველაფერი, საერთო ჯამში, არის ნათელი ჩვენი საზოგადოებისთვის. პირდაპირ ეთერში ვხედავთ ადამიანს, რომელიც იმართება ჯგუფებიდან, ვინც ის შემოაპარეს, ვინც მას მფარველობს. ხან რომელიღაც რეზოლუციაში აღმოჩნდება ხოლმე მისი სახელი და გვარი, აბსოლუტური ტყუილებით, თითქოს ხდებოდა მისი წამება, ხან რომელიღაც განცხადებებში სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებისა და ხან პირდაპირ ქმედებებში“,** – განაცხადა პაპუაშვილმა.



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, რომ არიოს საქართველო და იყოს დესტაბილიზაცია.

**„ვიცით, რომ საქართველოში ის შემოაპარა უკრაინის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილემ, გია ლორთქიფანიძემ. ამაზე მეტი მტკიცებულება რაღა გვინდა, როდესაც ქვეყანაში უცხო ქვეყნის სპეცსამსახური შემოგაპარებს.მერე სასამართლოზე ამბობ, რომ ქართული ენა დაგავიწყდა და უკრაინულად გელაპარაკონ და შემდეგ კიდევ პრეტენზიები გაქვს, რომ საქართველოში პოლიტიკურად აქტიური უნდა იყო. ეს სამარცხვინო ცირკია, რასაც ჩვენ ვუყურებთ.**

**კიდევ ვხედავთ, რომ მის პოლიტიკურ პარტიაში ადამიანები არიან, რომლებიც ხბოს აღტყინებით , გაფართოებული თვალებით შესციცინებენ მას. ცდილობს, რომ არიოს საქართველო, ჩვენი ქვეყანა. ცდილობს, რომ იყოს დესტაბილიზაცია. მთავარი პრობლემა არის, რომ გვყავს ჩვენ საქართველოში პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც არის ანტიქართული პოლიტიკური გაერთიანება“,** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ამასთან, პაპუაშვილმა აღნიშნა ისიც, რომ მსგავსი შეხვედრები, საიდანაც ერთ-ერთზე თემურ ალასანიას მიერ გაკეთებული განცხადება გავრცელდა, სავარუდოდ, ყოველდღე იმართება.

**„შეხვედრაზე ვიღაცამ ჩაწერა და გაავრცელა, თორემ ასეთი შეხვედრები იმართება ალბათ ყოველდღიურად ან ყოველ მეორე დღეს. სინამდვილეში, ასეთი პოლიტიკა აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“. ეს არის პირდაპირი დადასტურება იმისა, რასაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სურვილია ქვეყანაში არეულობა და სამხედრო კონფლიქტი. ამიტომ, ეს უბრალოდ არის ის აისბერგის წვერი, რომელიც ახლა გამოჩნდა. სინამდვილეში, ეს არის ანტიქართული გაერთიანების, ანტიქართული კოალიციის აისბერგი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ქოლგის ქვეშაა და სადაც ასევე არიან „ლელო“, სხვა პარტიები“,** – განაცხადა პაპუაშვილმა.

# მოვიშველიოთ ზრდილობა და მოთმინება, ბატონებო!

ადამიანს, რომელსაც პირზე სულ ღიმილი აკერია, დინჯი მოსაუბრეა, რაც არ უნდა გაჯავრებული იყოს, არ ყვირის, ცუდ, შეურაცხმყოფელ სიტყვებს არ იყენებს, დამთმობია და თუ რამ შეეშლება, მობოდიშებაც შეუძლია, აი ასეთზე იტყვიან, ზრდილობიანიაო.

ზრდილობა ადამიანში სათუთად გამოზრდილი თვისებაა. დიახ, გამოზრდილი, აღზრდილი. ყველას მოსწონს ზრდილობიანი ადამიანი, მაგრამ გვიჭირს ზრდილობის მოძიება საკუთარ თავში. ხშირად, იგი არ არის და რას მოვიძიებთ. რა ვქნათ? ვეძებოთ და შევიძინოთ? მაგრამ, ზრდილობის შეძენას თავისი ასაკი აქვს, ზრდასრულ ასაკში უკვე ძნელია მისი შეძენა, რადგანაც ამ საოცრად კეთილშობილი ჩვევის აღზრდა პატარაობიდანვე იწყება. წაგვიკითხავს და კინოსურათებშიც გვინახავს, თუ როგორ ზრდიდნენ სამეფო კარზე დაბადებულ ბავშვებს, როგორ ასწავლიდნენ ქცევებს, წვრთნიდნენ სიტყვა-პასუხში და არა მარტო მეფის კარზე, ბევრ ჩვეულებრივ ოჯახებშიც იცოდნენ და დღესაც იციან ბავშვში კეთილშობილებისა და ზრდილობის აღზრდა და აღზრდის მეთოდები. იციან, რომ ზრდილობა ადამიანს ესთეტიურსა და მიმზიდველს ხდის, ზრდილობა არეგულირებს ბევრ საჩოთირო და უხერხულ საქმეებს. ასე რომ, რა სჯობს ზრდილობიან საზოგადოებაში ცხოვრებას! მაგრამ ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ ერთი და მთავარი რამ – განათლება, ცოდნა. „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელიო...“ გვასწავლის „დავითიანის“ ავტორი. მაგრამ, ძალაუნებურად ასეთი აზრიც იბადება, – უცოდინარ კაცს წუთისოფელი გასტანჯავს მაგრამ, ასეთი კაცი თავადაც ხომ გასტანჯავს წუთისოფელს. განა არ დაგვტანჯეს უცოდინარებმა, რომელთაგან ბევრი მწერლობას იჩემებს და არ არის მწერალი, იჩემებს პურის ცხობას და არ იცის პურის ცხობა, იჩემებს მშენებლობას და არ არის მშენებელი... რატომ?! – ძვირფასო მკითხველო, ჩვენ ხომ ვიცით რატომაც, ამ ადამიანებს არა აქვთ შესაბამისი ცოდნა და განათლება, რომლის გარეშეც უძლურია თავად ზრდილობაც! ერთი და მთავარი რამ გამომრჩა, ახლავე მოგახსენებთ. ამ ბოლო დროს (იქნებ დიდი ხნის ამბავიც არის!) შემოგვეჩვივნენ პოლიტიკოსები, არადა, ძალიან შორს არიან ამ დისციპლინისაგან, არ იციან ეს საქმე! წარმოგიდგენიათ? ქვეყნის მშენებლობას იჩემებენ, საზოგადოების დახვეწას და განვითარებას და თავად არიან განუვითარებლები. დიახ, ასეთ დროსაც მოვესწარით.



მაგალითისთვის შორს წასვლა არ მოგვიწევს – კარგად დავაკვირდეთ ჩვენს პარლამენტს, პოლიტიკურ პარტიებს. შეიძლება ამდენი დავიდარაბა ატეხონ ერთმანეთში და ქვეყნის შენების ნაცვლად, ყოველდღე ერთმანეთის ლანძღვა გვასმენინონ?

ვერ ხვდებიან, რომ ასეთი უსაქციელობით და უტაქტობით თავს ილანძღავენ და ხალხს კი – თრგუნავენ? ვერ ხვდებიან და ამის მიზეზი უცოდინარობაა, ზრდილობის არქონაა!

პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია, მას, ეგრეთ წოდებული, „იმპიჩმენტი“ გამოუცხადეს და ერთსაც და მეორესაც ჰგონიათ რომ კარგად და სწორად მოიქცნენ. არადა, სამარცხვინოა ყველაფერი ეს!

ცოდნა, განათლება და თანმხლები ზრდილობა ყოველივე ამას უმტკივნეულოდ მოაგვარებდა. გაფუჭდა საქმე ხომ? ლამის მთელი მსოფლიოს დასაცინი გავხდით!..

ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე წარგვადგინეს, მალე წევრობასაც ველოდებით. დავალებებს გვაძლევენ ჩვენი პარტნიორები, ასე და ასე უნდა მოიქცეთ თუ გინდათ ევროკავშირელი გახდეთო, კარგია ძალიან, უნდა ვიცოდეთ სად მივდივართ, იქ რას მოგვთხოვენ, მაგრამ ისიც ხომ უნდა ვიცოდეთ – რატომ მივდივართ, ჩვენ რა უნდა მივიღოთ. თუ წაგვიკითხავს სადმე ჩვენი მოთხოვნები ევროკავშირელთა მიმართ. რას ვთხოვთ, რა გვინდა, რა პირობები, რა სარგებლობას გვაძლევენ ჩვენ ისინი და სხვა...

**ცოდნა და განათლება დღეს ისე არავის არ სჭირდება, როგორც ჩვენს პოლიტიკოსებს. ისინი თავიანთი ტრიბუნებიდან საზოგადოებისთვის სამაგალითონი უნდა იყვნენ და არა ისეთი დამთრგუნველნი, როგორებიც დღეს არიან... სიჯიუტე ზრდილობის და ინტელექტის ნაკლებობის ნიშანია. სამწუხაროდ, მხოლოდ ასეთ სახეებს გვიჩვენებენ ზედა ეშელონებში მყოფნი. მოვიშველიოთ ზრდილობა და მოთმინება, ბატონებო!**



**გულნარა სტურუა**

# პარაზიტი, შარვალ-ჩახდილი, ნარკომანი გირჩელების ჭკუაზე თუ ვიარეთ, ქვეყნის უსაფრთხოებას და თავდაცვას ძირი გამოეთხრება!

## ცვლილებები თავდაცვის კოდექსში

ერთი თვის წინ მიღებული თავდაცვის კოდექსი იცვლება. საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების წესს შეცვლის. ცვლილებები სტუდენტებსა და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეეხებათ.



## რა შემთხვევაში გაიწვევენ სტუდენტსა და სასულიერო პირს ჯარში?!

### რა იცვლება სტუდენტებისთვის?

**დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებებით, სავალდებულო სამხედრო სამსახურს ვერ გადაავადებთ, თუ ხართ სტუდენტი, მაგრამ დისტანციურად სწავლობთ. ეს ცვლილება ეხებათ იმ სტუდენტებსაც, რომლებმაც უცხოეთის უნივერსიტეტში ჩააბარეს, თუმცა განათლებას არა უცხო ქვეყანაში ადგილზე, არამედ დისტანციურად, საქართველოდან იღებენ. დისტანციურ სწავლებაზე ჩანაწერი თავდაცვის კოდექსში აქამდე არ არსებობდა.**

განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ კანონი ასეთ სტუდენტებს სამხედრო სამსახურის გასავლელად მათთვის ოპტიმალურ ფორმას შესთავაზებს, მაგალითად:

- **რეზერვის უმცროსი ოფიცრის ნებაყოფლობითი სამხედრო მომზადების პროგრამა;**
- **სტუდენტების ნებაყოფლობითი სამხედრო მომზადების პროგრამა – 4 წლის მანძილზე ყოველკვირეულად/ყოველთვიურად რამდენიმე დღე;**
- **სამხედრო სამსახურის სახეებიდან, რომელიც 6, 8 და 11-თვიანია, ერთ-ერთის შერჩევის შესაძლებლობა;**

ამასთან, კანონპროექტის მიხედვით, მეთაური სამხედრო სამსახურის პირობების გათვალისწინებით ვალდებული იქნება ხელი შეუწყოს სამხედრო მოსამსახურეს სწავლაში. სტუდენტები სამხედრო ბაზაზე არსებული ბიბლიოთეკებით, სპორტული, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებებით, სპორტული ნაგებობებითა და ინვენტარით ისარგებლებენ. უზრუნველყოფილი იქნება დისტანციური სწავლებისთვის საჭირო გარემო, ტექნიკა, ინტერნეტი.

სტუდენტებთან დაკავშირებით ჩანაწერს დაემატა სიტყვა – „აქტიური", ანუ გადავადების უფლებით ისარგებლებენ ის სტუდენტები, რომელთა სტატუსიც სწავლების თითოეულ საფეხურზე სწავლის დამთავრებამდე, აქტიურია.

ბუნდოვანია, წავლენ თუ არა ჯარში ისინი, ვინც მაგისტრატურაზე მეორედ ჩააბარეს. ახალი ცვლილებები ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. კითხვის ნიშანი წესით მაშინ მოიხსნება, როცა კანონპროექტის ავტორები საკომიტეტო მოსმენებზე დამატებით განმარტებებს გააკეთებენ.

### წახვალთ ჯარში, თუ სასულიერო პირი ხართ?

**ან კი, ან არა – მთავარია, რას გადაწყვეტს თავდაცვის სამინისტრო, ანუ დაგიჯერებთ თუ არა.**

ახალი თავდაცვის კოდექსით, „მღვდელმსახურის" სტატუსის ქონა სამხედრო სამსახურის გავლის გადავადების საფუძველი არ არის! არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირებს სამხედრო სამსახურის ალტერნატიული, არასამხედრო ფორმით გავლა უწევთ. ამ საკითხს, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს.

**მოქმედი წესით:**

მშვიდობიან პერიოდში არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაიწვევა:

- **პირი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურის გავლაზე;**
- **სასულიერო პირი.**

თუმცა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს კვლავ უნარჩუნდებათ სამხედრო ვალდებულების მოხდისგან გათავისუფლების შესაძლებლობა, რადგან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი) არსებობს.

მოქმედი კანონით, იმ პირებმა, რომლებიც რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების მოტივით სამხედრო სამსახურზე უარს ამბობენ, პროცედურა უნდა დაიცვან:

- **წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ დოკუმენტის მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა მიმართონ გამწვევ კომისიას განცხადებით, რომ ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა სურთ;**
- **განცხადებას გამწვევი კომისია განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად სახელმწიფო კომისიას უგზავნის;**
- **უარის შემთხვევაში განმცხადებელს უფლება აქვს, საქმე სასამართლოში წაიღოს. განხილვის დასრულებამდე მისი საკითხი შეჩერებულია, ანუ ჯარში არ გაიწვევენ.**

### შეაჩერებთ გაწვევას, თუ სასამართლოში იჩივლებთ?

**ცვლილებების ახალი პაკეტით სასამართლო სარჩელი პროცესს ვეღარ აჩერებს. ანუ თუ, მაგალითად, პარტია „გირჩის" „მღვდელმსახური" ხართ და სახელმწიფო კომისიამ უარი გითხრათ ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში გაწვევაზე და თქვენ გადაწყვეტილებას სასამართლოში ასაჩივრებთ, ამის მიუხედავად, თავდაცვის სამინისტროს ჯარში მაინც მიჰყავხართ, თანაც სავალდებულო ყაზარმულზე.**

საქმის სასამართლოში წასაღებად 15 სამუშაო დღეა განსაზღვრული. სასამართლო 5 დღის ვადაში წყვეტს მიიღოს, თუ არა სარჩელი განსახილველად. ამის შემდეგ, შესაბამისმა ინსტანციამ გადაწყვეტილება 15 დღის ვადაში უნდა გამოაცხადოს.

რის მიხედვით იღებს კომისია გადაწყვეტილებას, მსჯელობს ის კონკრეტული პირის რელიგიის ნამდვილობაზე, ან იმაზე, განმცხადებელი ტყუის თუ არა? – ამ კითხვებს საკანონმდებლო ჩანაწერები ვერ პასუხობს. მხოლოდ ისაა ნათელი, რომ ეს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად იქნება დამუშავებული. შესაბამისად, ცვლილება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონშიც შედის.

თუმცა, კომისია რომ თქვენი რწმენის ნამდვილობას შეაფასებს, ეს პროცედურაშია ნაგულისხმევი.

მაგალითად, თუ რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის სასულიერო პირი ხართ, მოქმედი კანონით სამხედრო სამსახურის გავლა არ გეკუთვნით. შესაბამისად, მიმართავთ სპეციალურ კომისიას, რომ არასამხედრო სამსახურში გაგიწვიოთ. კომისია მსჯელობს და გეუბნებათ უარს – ანუ ამბობს, რომ სასულიერო პირი არ ხართ. გადაწყვეტილებას სასამართლოში ასაჩივრებთ, თუმცა აღსრულებაზე გავლენას ვერ ახდენთ, ანუ თავდაცვის სამინისტროს ჯარში მაინც მიჰყავხართ. ცალკე კითხვის ნიშანს აჩენს ის, თუ რაზე უნდა იმსჯელოს სასამართლომ.

„გირჩში" ამბობენ, რომ „ბიბლიურ თავისუფლებასთან" ბრძოლის გამო მთავრობა გეგმავს ცვლილებებს, რომელიც დისკრიმინაციულია და რწმენის თავისუფლებას აზიანებს.

**„ჩნდება ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც წყვეტს, ვინ არის ბუდისტი, ვინ არის ქრისტიანი. ამ კანონით კომისიას ევალება გაარკვიოს, ვინ არის ნამდვილად რელიგიური. სახელმწიფოს ეძლევა ფუნქცია დაადგინოს, რა არის ნამდვილი რელიგიური ორგანიზაცია. სასამართლოც გადააყოლეს ამ თავდაცვის კოდექსს, განათლების სისტემაც და წესრიგიც. ეს ყველაფერი კეთდება „გირჩის" საწინააღმდეგოდ, Let's play ვნახოთ, ვინ მოიგებს",** – ამბობს დეპუტატი **იაგო ხვიჩია.**

„გირჩში" გვეუბნებიან, რომ თავდაცვის ახალი კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გამწვევ კომისიას 150-მა „ბიბლიური თავისუფლების" მღვდელმსახურმა მიმართა. ისინი კომისიის გადაწყვეტილებას ამ დრომდე ელიან. „ბიბლიური თავისუფლების" დაარსებიდან, ანუ 2017 წლიდან დღემდე კი სავალდებულო სამხედრო სამსახური 50 000-მდე პირმა გადაივადა.

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა, ვახტან ბაჩიაშვილმა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე თქვა, რომ კომისიის წევრები სასულიერო პირებს რელიგიაზე კითხვას ლოჯისტიკური მიზნებით უსვამენ.

**„პირის აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის გრაფის შევსებას ერთადერთი ლოჯისტიკური მიზანი აქვს, რომ რელიგიური აღმსარებლობიდან გამომდინარე, მათი კვებითი რეჟიმი დაიგეგმოს. სხვა არანაირი მიზანი ამას არ აქვს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთანაც თავსებადია",** – ამბობს **ბაჩიაშვილი.**

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას აპროტესტებს დეპუტატი თეონა აქუბარდია.

**„ახალი ცვლილებით, სასამართლოში გასაჩივრება არ დაიცავს მოქალაქეს ჯარისგან, შესაბამისად, დაჩქარებული წესით განხილვისთვის განსაზღვრული მცირე დრო არასაკმარისია. ჩვეულებრივი წესით განვიხილოთ. ეს დაგვეხმარება მთავარი პრობლემები, რაც ამ კანონს აქვს, ნაკლები რისკებით გავიაროთ".**

მოწოდების მიუხედავად, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი პარლამენტში დაჩქარებულად განიხილება. ეს ნიშნავს, რომ თავდაცვის კოდექსში ცვლილებები მომდევნო კვირის ბოლოს უკვე დამტკიცებული იქნება.

**სალომე ჩადუნელი**



## ორიენტირებული სწავლება საბრძოლო სროლებით დასრულდა

**აღმოსავლეთის სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონის ასეულმა ამოცანაზე ორიენტირებული სწავლება საბრძოლო სროლებით დაასრულა. ორფოლოს პოლიგონზე დღის და ღამის პირობებში ასეულის პირადმა შემადგენლობამ პირობითი მოწინააღმდეგის განადგურების და განეიტრალების ოპერაცია განახორციელა.**

**ასეულის დონის საველე სწავლება 60 მმ ნაღმტყორცნის, 122 მმ არტილერიის, სნაიპერთა ჯგუფის, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევისა და საინჟინრო ქვედანაყოფის მხარდამჭერი ელემენტებით ჩატარდა.**

**ამოცანაზე ორიენტირებული სწავლება ორფოლოს პოლიგონზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სწავლების მიზანს ქვედანაყოფის დავალებებში მხარდამჭერ ელემენტებთან კოორდინირებული მომზადება წარმოადგენდა.**

შიშვიათესი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანია – ღვთისგან ბოძებული ნიჭით, მონდომებით, სისადავითა და უბრალოებით გამორჩეული. ცხოვრების ქარტეხილების დაძლევამ აქტიურ მებრძოლად აქცია. მრავალი წიგნის ავტორმა, ჯილდოებისა თუ პრემიების ლაურეატმა უამრავ სფეროს დაამჩნია წარუშლელი კვალი, კერძოდ, ფოლკლორისტიკას, ქართული ენის სწავლების მეთოდიკას, ლიტერატურათმცოდნეობას, ჟურნალისტიკათცოდნეობას, ლინგვისტიკას, კომუნიკატივისტიკას, ქართულ მწერლობას...

მისი ინტერესთა არეალი განუზომელია...

ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისთვის საყოველთაოდ ცნობილ პიროვნებაზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორზე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ თემურ ჯაგოდნიშვილზე მოგახსენებთ, რომლის პიროვნულ ღირსებას მისი მრწამსითა და რწმენით ზომავენ.

მისმა პედაგოგიურმა ნიჭმა და უღალატო ადამიანურმა ალღომ სტუდენტებთან მამაშვილურ ურთიერთობაშიც იჩინა თავი. ბევრი მათგანის უანგარო დამკვალიანებელს დოქტორანტებშიც უამრავი ჰყავს მადლიერი. თანამშრომელთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელია, ამიტომაც დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

განუზომელია ბატონი თემურის ღვაწლი და დამსახურება: წლების განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავა, დიდი ხანია, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობს. იყო ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრის გამგე; ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მაგისტრატურის ხელმძღვანელი.

დღემდე სტუ-ის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსია. შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ფოლკლორის განყოფილების წამყვანი მეცნიერი თანამშრომლისა და თსუ-ის ფოლკლორისტიკის კათედრის პროფესორის თანამდებობებზე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პედაგოგიური მუშაობის პარალელურად პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა სხვა სფეროებშიც: იყო სტუ-ის გაზეთების – „ალმაშენებელისა“ და „საუნივერსიტეტო მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის კრებულის – „შრომების“ რედაქტორის მოადგილე, სტუ-ის სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“ რედაქტორის მოადგილე (ამჟამად რედაქტორია); სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი; არის იუნესკოს ასოცირებული წევრის – FIPLV-ის (FIPLV – თანამედროვე ენების ასოციაციათა ფედერაცია) ჟურნალ „HomoLoquens“-ის რედკოლეგიისა და საქართველოს მულტილინგვისტური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი; იყო სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი); საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) მიწვეული პროფესორი და ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი.



საქართველოს განათლების მეცნიერებათა და ლიტერატურისმცოდნეობის აკადემიების წევრი ამჟამად ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით ამავე აკადემიის აკადემიკოსად არის არჩეული.

პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათგან 50-მდე წიგნი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა. ცნობილმა მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა სახელოვანი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – რაფიელ ერისთავის შემოქმედებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის – ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ნაწერების შესწავლაში.

ბატონი თემურის მეცნიერულ ნაშრომებში განსაკუთრებული ადგილი უკავია კაპიტალურ გამოკვლევას - „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიას“. ეს 817-გვერდიანი გამოცემა ქართული მეცნიერული ფოლკლორისტული აზრისა და პრაქტიკის განვითარების ტენდენციებისა და გზების პირველი სისტემური კურსია. ქართულ ფოლკლორისტიკაში, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია მისი მონოგრაფია „ერეკლეს ეპოსი“, რომელიც 2007 წელს დაიბეჭდა.

# მრწამსით და რწმენით აზომილი გზა

**– ბატონო თემურ, ერეკლე მეორის შესახებ ქართულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში 150-ზე მეტი ფოლკლორული ტექსტის არსებობის მიუხედავად, არაერთი ცნობილი ფოლკლორისტი უარყოფდა ერთიანი ეპიკური ქმნილების არსებობას...**

– ეს არც არის გასაკვირი, რადგან მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ვერ ხერხდებოდა ამ ეპოსის ზეპირსიტყვიერი ტექსტის იმგვარი რესტავრაცია, როგორიც მიღებულია მსოფლიოს ფოლკლორისტულ პრაქტიკაში. ფუნქციურ-სტრუქტურული კვლევით გამოვლინდა ერეკლე მეორის ეპოსის ფოლკლორული ტექსტი და დადგინდა მისი ციკლური სტრუქტურა. ამით დამტკიცდა ქართული ფოლკლორული მხატვრული აზროვნებისა და ცნობიერების ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: ერთი, ქართულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში საგმირო-საისტორიო ხალხური ეპოსის არსებობა და მეორე – ქართული ფოლკლორული ცნობიერების სისრულე, რადგან ერეკლეს ეპოსის ტექსტის რესტავრირებით შეივსო ის „ჩავარდნა“, რაც თითქოს ამგვარი ეპიკური ძეგლის უქონლობით ცნაურდებოდა მითოლოგიურ („ამირანიანი“), რომანტიკულ („ეთერიანი“) და სოციალურ („არსენას ლექსი“) ეპოსებს შორის.

**– თანამედროვე გლობალიზაციის ვითარებაში ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს კაპიტალად გადაქცევამ ბუნებრივად წამოსწია წინა პლანზე ინფორმაციის გადაცემა-გავრცელების, ანუ კომუნიკაციების პრობლემები, რამაც მეცნიერებაში ახალი მიმართულების - კომუნიკატივისტიკის (კომუნიკოლოგიის) დამკვიდრება გამოიწვია. ამ პრობლემებს ერთ-ერთი პირველი თქვენ გამოეხმაურეთ.**

– მინდა გითხრათ, რომ ვერბალური კომუნიკაციის პრობლემების მეცნიერულმა კვლევებმა დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან არნახულად გაიზარდა ენობრივი პიროვნების როლი საზოგადოებრივ ყოფასა და საქმიანობაში. გაჩნდა კომუნიკატივისტიკის ახალი ცოდნის საგანმანათლებლო სივრცეში უსწრაფესად შეტანა-დამკვიდრების საჭიროება. 2008 წელს ჩემი რედაქციითა და თანაავტორობით გამოიცა ვერბალური კომუნიკაციების ერთგვარად პროპედევტიკური ნაშრომი „აკადემიური წერა (კვლევისა და წერის სახელმძღვანელო)“, რომელიც ამ დარგში ერთ-ერთი პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოა.

ერთი წლის შემდეგ, ასევე, ჩემი თანაავტორობით დაიბეჭდა „ვერბალური კომუნიკაციები“. ეს ნაშრომი ქართულ სინამდვილეში კომუნიკაციის რაობის, საფუძვლების, კომუნიკაციური პროცესების ტიპოლოგიის, სფეროების, მოდელების, აქტების, სემიოტიკის საკითხების სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში შემოტანის ერთ-ერთი ადრეული ცდაა. ორი წლით ადრე კი გამოვიდა წიგნი „კომუნიკატორის ენობრივი პიროვნება“, რომელშიც ქართული მეტყველების ბუნების კვლევის შედეგები მაქვს წარმოდგენილი.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა 2018 წელს ვერბალური კომუნიკაციების მიმართულებით გამოცემულ მეცნიერულ ნაშრომს - „ახალი რიტორიკა – საჯარო კამათის ტექნოლოგიები“ და მის ქრესტომათიულ ნაწილ „რიტორიკას“, რომლისთვისაც გადმოვაქართულე I საუკუნის რომაელი ავტორის - დემეტიოსის ნაშრომი „სტილის შესახებ“ და ფრანგი მკვლევრის ჟერარ ჟანეტის შრომები – „რიტორიკა და განათლება“ და „ახალი რიტორიკა“.

**– ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, შთამბეჭდავი შედეგით მაინც თქვენი თანაავტორობით განხორციელებული დიდი მეცნიერული პროექტი გამოირჩა – 18.560 ტერმინისგან შემდგარი ექვსენოვანი (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული) მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი.**

– სხვა მსგავსი ნაშრომებისგან ის იმით განსხვავდება, რომ უფრო სრულყოფილია და ერთგვარად ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან პირველად დამუშავებულ უკრაინულენოვან მეტალურგიულ ტერმინებსაც შეიცავს. ლექსიკონის მთავარი რედაქტორი და გამომცემელია პროფესორი გურამ ქაშაკაშვილი. 2012 წელს ლექსიკონის თანაავტორთა ოთხკაციან ჯგუფს (პროფ. გ. ქაშაკაშვილი, პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი, ო. მეტრეველი (როჟკო), ო. მიქაძე) საქართველოს სახელმწიფო ეროვნული პრემია მიენიჭა.

**– დიდი საეკლესიო მოღვაწის – გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ხანძთის მონასტრის ადგილმდებარეობის დადგენაში თქვენეული წვლილის შესახებ რას გვეტყვით?**

– ტრადიციული მეცნიერული აზრი გრიგოლ ხანძთელის მიერ VIII საუკუნეში აგებული ხანძთის მონასტრის ადგილად ტაოს სოფელ ფორთას სიახლოვეს აგებულ გუმბათიან მონასტერს მიიჩნევდა, რომელიც ამჟამად ხანძთის მონასტრად იწოდება.



„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის ანალიზის საფუძველზე გამოვთქვი მოსაზრება ორი – ძველი და ახალი ხანძთის მონასტრის არსებობის შესახებ.

**„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის ანალიზის საფუძველზე გამოვთქვი მოსაზრება ორი – ძველი და ახალი ხანძთის მონასტრის არსებობის შესახებ. იგი დაემყარა აღნიშნული თხზულების ტექსტის ცნობას იმის შესახებ, რომ გრიგოლ ხანძთელმა ხანძთის ქვიტკირის ეკლესია ააგო დიდი ფეოდალის - გაბრიელ დაფანჩულის დახმარებით 782 წელს, ხოლო მეორე (ახალი) ხანძთა აიგო X საუკუნის პირველ ნახევარში (918-941, არაუგვიანეს 941 წლისა) კურაპალატების - აშოტ კუხისა და გურგენის მიერ ძველი ხანძთის წინამძღვრების - არსენისა და იოანეს ძალისხმევით. რაც მთავარია, იმ დროს აიგო, როდესაც გრიგოლ ხანძთელი 90 წლის გარდაცვლილი იყო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გიორგი მერჩულის თხზულების ტექსტიც ამ დროისათვის გასრულდა და მის დახვეწაში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ხელისუფალმა და მეფემ ბაგრატმა. ეს კი ნიშნავს, რომ მერჩულის ტექსტი სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური თვალსაზრისით გაიმართა.**

**გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებულმა ხანძთის მონასტერმა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო მეტროპოლიის სტატუსი შეიძინა. ხანძთა და ხანძთელობა ახალი ქართული სამეფოს ერთიანობის მეტაფორად (სიმბოლოდ) იქცა. X საუკუნეში ვითარება შეიცვალა – მტრის შემოსევის საშიშროება მინავლდა. ეპოქის ტვიფარად წარმოსდგა ახალი სტილი – მონუმენტალიზმი და ფუნქციონალიზმი.**

**ძნელად მისადგომი ხანძთა ვეღარ ასრულებდა საეკლესიო მეტროპოლიის ფუნქციას. საუკუნის შემდეგ ხანძთის მონასტრისაგან 4-5 კილომეტრის მოშორებით, სოფელ ფორთას სიახლოვეს, შედარებით ხელმისაწვდომ ადგილზე, აშენდა ახალი, მონუმენტური მონასტერი – ახალი ხანძთა, რომელსაც დაეკისრა საეკლესიო მეტროპოლიის ფუნქცია. გრიგოლის მიერ აგებული ხანძთის მონასტერი თანდათან მიატოვეს და მისი მნიშვნელობა დაიმცრო. გარკვეული დროის შემდეგ მას სახელიც კი შეუცვალეს – იმ მთის სახელი უწოდეს, რომელზედაც იყო აგებული, – ნუკას საყდარი დაარქვეს...**

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის სრული დახასიათება ერთ საგაზეთო წერილში წარმოუდგენელია, მაგრამ იმის აღნიშვნა კი აუცილებელია, რომ მან სხვადასხვა დროს ქართული ფილოლოგიისა და კულტურის აქტუალურ საკითხებზე გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ნაშრომები: „ნოდარ ტაბიძე“ (ამ თხზულების გადამუშავებული და გაფართოებული ვერსიაა „თაობათა მოძღვარი“), „სოფლისა მნათობი და მწყემსი კეთილი“ (მელიტონ კელენჯერიძის ცხოვრება და მოღვაწეობა), „ბორის იმნაძე – სადღეგრძელოდ ჩამოქნილი სიცოცხლის ხიბლი“, „ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს“ , „ბერიკაცი ვარ, ნუ მამკლავ“, „კიდევ სუნთქავენ ქართული ოცნებით მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები“; გამოსცა ტიციან ტაბიძის უცნობი მეცნიერული გამოკვლევა „ახალი ქართული ლიტერატურა“. თუნდაც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ღვაწლმოსილ მეცნიერს თამამად შეგვიძლია ვკითხოთ:

**– ბატონო თემურ, 75 წლის გადასახედიდან როგორ ჩანს თქვენ მიერ განვლილი გზა?**

– ბედის კმაყოფილი ვარ. იმაზე მეტი შემაძლებინა, ვიდრე მოველოდი და მომესურვებინა. ნებისმიერ მიღწევას თავისებური საფუძვლები აქვს. იმ ინტელექტუალურ კაპიტალს ვგულისხმობ, რომელმაც მიზნის მიღწევაში ხელი უნდა შეგიწყოს.

ბედმა დამაკავშირა ისეთ ადამიანებთან, რომლებმაც ჩემი ცხოვრების გზა განსაზღვრეს. უპირველესად, ასეთად აკადემიკოსი ილია ვეკუა მიმაჩნია. ჯერ სტუდენტობისას, შემდეგ კი მასთან ოთხი წელიწადი მარგუნა თანამშრომლობა. გზამკვლევად სხვებიც მყავდნენ – თსუ-ს პრორექტორი, პროფესორი გურამ ჭილაშვილი, აკადემიკოსები – შოთა ძიძიგური, თამაზ გამყრელიძე, გიორგი ჯიბლაძე, გოჩა ჩოგოვაძე. დღემდე მათი მადლიერი ვარ.

**– თითქმის ყოველ შაბათ-კვირას სა-**

**კუთარ „ოდაბადეს“ – ხაშმს სტუმრობთ ხოლმე. როგორ ფიქრობთ, ქალაქია თუ სოფელი?**

– მე ასე გეტყოდით – ქალაქი სოფლით და სოფელი ქალაქით. რატომ? იმიტომ, რომ ქართული არა მხოლოდ ყოფა, არამედ ქართული სულიერი კულტურაც კი ქართულ სოფელში ინასკვება და ქალაქში იძენს სრულყოფილად თავის შინაარსსაც. ქართული კულტურა, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ცენტრისკენულია. იგი ცენტრიდან, ანუ მეტროპოლიიდან კი არ მიემართება რეგიონისკენ, არამედ, პირიქით – რეგიონებიდან ცენტრისკენ.



შეშელეთელი აკადემიკოსი ილია ვეკუა

სოფელში ყოველი მიბრუნება ძირებისკენ მიბრუნებაა. ეს არ არის უბრალო სივრცე. სოფლის გარემო საკუთარი თავის შეცნობაში, რაღაც ახლის აღმოჩენაში ეხმარება ადამიანს. სხვაგვარი ენერგიით აღსავსე ბრუნდები ქალაქში. პერიოდული მიმოსვლა მისტერიულად ხდება, რასაც ადამიანები სულის მოთქმას ვეძახით და გაცილებით ღრმაა, ვიდრე სულის მოთქმა. ეს ყველაზე ცხადად დიდი მეცნიერისა და მოღვაწის – ილია ვეკუას ცხოვრებამ ცხადჰყო. მას ჟურნალმა „ოგონიოკმა“ „შეშელეთელი აკადემიკოსი“ უწოდა, რითაც ხაზი გაესვა ილიას მშობლიური სოფლის როლს მისი პიროვნულობის ფორმირებაში.

**– საფერავის სამშობლოში დაბადებულ-გაზრდილს არა მეღვინეობისკენ, არამედ მეცნიერებისკენ რამ გიბიძგათ?**

– პასუხი ძალიან მარტივია: ხაშმი არა მარტო ყურძნის უნიკალური ჯიშის – საფერავის ქვეყანაა, არამედ – დიდი კულტურული ტრადიციებისა. ხაშმმა მისცა საქართველოს დიდი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, საოცარი პროფესიონალი ფილოლოგი გაიოზ იმედაშვილი, დიდი მესიტყვე, ჟურნალისტი, გამომცემელი და მწიგნობარი იოსებ იმედაშვილი, ქართული კულტურის ისეთი სახელოვანი მოღვაწეები, როგორებიც არიან რევაზ ინანიშვილი, დიმიტრი ნახუცრიშვილი, აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი თამარ ბაქრაძე, პოეტი მიხეილ ქვლივიძე...

თავის დროზე ხაშმში ფუნქციონირებდა სახალხო თეატრი... ასე რომ, სიტყვიერების, ხელოვნებისა თუ გონებრივ-ინტელექტუალური სამყაროსადმი სწრაფვის ტრადიციები ყოველთვის იყო ხაშმში და, ალბათ, ამის გავლენაც არ უნდა გამოირიცხოს.

**– და... ჰორიზონტზე რა ილანდება?**

– ალბათ, აუსრულებლის ასრულების მწველი სურვილი... ჩემი საახლობლო და ოჯახი...

და ეს სურვილი ბუნებრივია, რადგან დიდი ოჯახის თავკაცია ბატონი თემურ ჯაგოდნიშვილი – მოსიყვარულე შვილი, ერთგული მეუღლე, ღირსეული შვილების მამა, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების რჩეული პაპა, უღალატო მეგობარი, თვალსაჩინო მეცნიერი, რომელსაც 23 ნოემბერს 75 წელი უსრულდება.

**გილოცავთ, ბატონო თემურ! ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლეს და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ!**

**ვაჟა დანელია**

## რედაქციისგან:

105 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად მიესალმება ქართული საგანმანათლებლო მეცნიერების, ქართული სიტყვიერების, ქართული ჟურნალისტიკის დიდ მკვლევარს, ჩვენი გაზეთის მეგობარს და მუდამ სასურველ ავტორს, თავისი მოვარგებული სამოცდათხუთმეტწლიანი ბარაქიანი წუთისოფლის უიშვიათეს მცოდნეს, კეთილშობილებითა და თავმდაბლობით გამორჩეულ მამულიშვილს, ხაშმის საამაყო შვილების ღირსეულ მემკვიდრეს, უღალატო მეგობარსა და კაიყმას თემურ ჯაგოდნიშვილს!

მხნედ, თვალადური სიტყვის და კალმის პატრონო! 100-მდე მხოლოდ 25 წელიწადია!

**მთავარი რედაქტორი**

# გიორგობა ისტორიულ ჰერეთში



ქურმუხის ტაძარი

**23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, საქართველოს რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე ხელისუფლების წარმომადგენლებთან, პარლამენტის დეპუტატებთან, რელიგიის სახელმწიფო სააგენტოსა და საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკას, ისტორიულ ქართულ კუთხეს – საინგილოს ეწვევა, აზერბაიჯანის მოქალაქე ეთნიკურ ქართველებს შეხვდება და გიორგობას მიულოცავს.**

23 ნოემბერს, კახის რაიონის სოფელ კახ-ინგილოს (ისტორიული კაკისთავი) წმინდა გიორგის ტაძარში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) სამღვდელოებასთან ერთად სადღესასწაულო წირვას აღავლენს. საღვთო ლიტურგია დილის 10 საათიდან დაიწყება. ღვთისმსახურების დროს საქართველოს რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე ბიბლიის წიგნებს საჩუქრად გადასცემს ადგილობრივ მართლმადიდებელ მორწმუნეებს. წირვის შემდეგ მეუფე თეოდორე სამღვდელოებასთან, ქართული დელეგაციის წევრებთან და მრევლთან ერთად ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს მოილოცავს და სადღესასწაულო პარაკლისს აღავლენს.

ვიზიტის დროს შედგება ქართული დელეგაციის შეხვედრა კახის რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელთან მუსა შექილიევთან. მეუფე თეოდორე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად კახ-ინგილოს წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ეზოში წირვის შემდეგ შეკრებილ ინგილო ქართველებსაც შეხვდება.

სამწუხაროდ, უკვე 3 წელზე მეტია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახმელეთო საზღვრები ჩაკეტილია, რის გამოც ქართველი მომლოცველები ვეღარ ახერხებენ გიორგობის დღესაწაულზე კახში ჩასვლას. აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის ალი ასადოვის ბოლო განსაკუთრებით, აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრები 2024 წლის 2 იანვრამდე დახურული იქნება, თუმცა ადგილობრივ ქართველებს არც ამ თარიღის შემდეგ აქვთ საზღვრის გახსნის იმედი. 2020 წლის მარტიდან დღემდე სახმელეთო გზით აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა შეზღუდული აქვთ არა მხოლოდ სხვა ქვეყნების, არამედ თავად აზერბაიჯანის მოქალაქეებსაც კი. ამის გამო აზერბაიჯანის მოქალაქე ეთნიკური ქართველები, რომლებსაც ისტორიულად მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ისტორიულ სამშობლოსთან – საქართველოსთან, მძიმე ჰუმანიტარული პრობლემების წინაშე დგანან (გაყოფილი ოჯახები და ნათესავები წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ ერთმანეთთან შეხვედრას, ავადმყოფი ახლობლების მონახულებას, გარდაცვლილი ახლობლის დაკრძალვაზე ჩასვლას და ა. შ.).

# შოთაობა მარნეულში



**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით, მარნეულში „შოთაობა – 2023“ ჩატარდა,** – ინფორმაციას მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა კენან ომაროვმა და საკრებულოს თავმჯდომარე ამირან გიორგაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და „შოთაობა“ მიულოცეს. „დღესასწაულის ფარგლებში სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი აქტივობა გაიმართა; ქალაქ მარნეულის !5 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პერფორმანსი „აფორიზმები-ვეფხისტყაოსნიდან“ შეასრულეს.

მოეწყო თეატრალიზებული წარმოდგენა, დეკორაციებით შოთა რუსთაველის ეპოქიდან, გათამაშდა ნაწყვეტები პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“. წარმოდგენაში მონაწილეობას მოწვეული მსახიობები და მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „იბერიას“ მოცეკვავეები იღებდნენ.

ამასთან, ბიბლიოთეკის მიმდებარე სკვერში, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა გვირგვინით და ყვავილებით შეამკეს შოთა რუსთაველის ძეგლი. აღსანიშნავია, რომ მარნეულში სახალხო დღესასწაული „შოთაობა“ 2021 წლიდან აღინიშნება“.

# სპექტაკლები, რომლებიც სულიერად გვამაღლებს

**გურამ დოჩანაშვილის სახელობის საერთაშორისო ქართულ სკოლაში, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მხარდაჭერითა და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „იცანის“ ორგანიზებით, წარმოდგენილი იყო რეჟისორ გოგა თავაძის მიერ დადგმული სპექტაკლი: „გრიგოლ ფერაძე“, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები: ნინო ანდრიაძე, ნიკა კვანტალიანი, ზურაბ არუსია და ლევან კაციაშვილი.**



დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა თბილისის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ალექსანდრე გალდავამ.

აქვე წარმოდგენა გაიმართა სამუსიკო სემინარიაში, სადაც წარმოდგენილი იყო რეჟისორ გოგა თავაძის მიერ დადგმული სპექტაკლი: „ამბროსი ხელაია“, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები: ლაშა გრძელიძე, გიორგი ჯიქურიძე, ზურაბ არუსია და ლევან კაციაშვილი.

# სახალხო დღესასწაული ქედაში



**ქედის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაული „შემოდგომა ქედაში“ და „ქედის ღვინის ფესტივალი“ გაიმართა.**

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, სახალხო დღესასწაულს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდნენ საპატიო ქედელები და საუკეთესო მეღვინეები. გაიმართა ფერმერების და ქედის ღვინის მარნების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. მოეწყო კულინარიული მასტერკლასები, ჯარას თაფლის პრეზენტაცია, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული, ასევე, სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა.



# სომხეთი საფრანგეთის მთავრობის მარიონეტად იქცა!

**სომხეთმა უნდა დაგეგმოს თავისი მომავალი საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და არა ჩვენი რეგიონიდან შორს მყოფი ქვეყნების ამბიციებით, რომლებსაც სისხლიანი კოლონიური წარსული აქვთ,** – ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, **ილჰამ ალიევმა** განაცხადა.

**„ვერცერთი საერთაშორისო ზეწოლა ვერ იქონიებს გავლენას აზერბაიჯანის ხალხისა და აზერბაიჯანის მთავრობის ნებაზე. ახლა სომხეთი იყენებს თავის დიასპორას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აზერბაიჯანზე თავდასხმისთვის. მაგრამ მათი ქმედებები არაეფექტური იქნება. ჩვენ მზად ვართ მშვიდობისთვის, მაგრამ სამართლიანი მშვიდობისთვის, რომელიც დაფუძნებულია ორივე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღიარებაზე, საღ აზრსა და ისტორიულ სამართლიანობაზე დაფუძნებულ მშვიდობაზე. ფაქტობრივად, სომხეთი საფრანგეთის მთავრობის მარიონეტად იქცა და ეს შეიძლება სერიოზული საფრთხე გახდეს რეგიონული სტაბილურობისთვის. ჩვენ არ გვჭირდება ომი.**

**ჩვენ ვიბრძოლეთ ჩვენს ტერიტორიაზე, აღვადგინეთ სამართლიანობა და საერთაშორისო სამართალი. მაგრამ სომხეთის ხელისუფლება და პოლიტიკური ისტებლიშმენტი შურისძიებაზე ფიქრობს. საფრანგეთის მთავრობის არასწორი გზავნილები კი რეალურად უქმნის ილუზიებს სომხეთის მთავრობას და, შესაძლოა, სომხურ საზოგადოებრივ აზრსაც, რომ მათ შეუძლიათ, კვლავ დაიწყონ სამხედრო აგრესია აზერბაიჯანის წინააღმდეგ. სომხეთის შეიარაღება, რომლითაც საფრანგეთი ასე ამაყობს და საჯაროდ აცხადებს, არ დაეხმარება სომხეთს, თუ ის გადაწყვეტს ახალი ომის დაწყებას.**

**შედეგი იგივე იქნება და მათ არავინ დაეხმარება. დაეხმარა მათ საფრანგეთი სამი წლის წინ? არა. დაეხმარნენ მათ ორი თვის წინ? არა. რისი გაკეთება შეუძლიათ მათ აქ? არაფერი. ამიტომ, ვფიქრობ, რაც უფრო მალე მივიღებთ პასუხს სომხეთისგან ჩვენს კომენტარებზე, მით უკეთესი“,** – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

# გვიან, მაგრამ მაინც ხვდება

უკრაინის პრეზიდენტი **ვოლოდიმირ ზელენსკი** აცხადებს, რომ რუსეთს 2023 წლის ბოლომდე მისი პრეზიდენტის თანამდებობიდან ჩამოშორება სურს, რისთვისაც მომზადებული აქვს დესტაბილიზაციის გეგმა „მაიდანი 3“.

**„არის გეგმა „მაიდან 3“, რომ შეცვალონ პრეზიდენტი. შესაძლოა, არა მკვლელობის გზით, არამედ შეცვლით. ისინი ხელთარსებულ ნებისმიერ ინსტრუმენტს გამოიყენებენ. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ წლის ბოლომდე განახორციელონ ახალი ოპერაცია, რომელსაც სახელწოდებაც კი აქვს, თუმცა ხედავთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ამასთან ცხოვრება“,** – განაცხადა ზელენსკიმ.

ვოლოდიმირ ზელენსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოსკოვი მიისწრაფვის უკრაინული საზოგადოების გახლეჩისკენ, ქვეყნის შიგნით ქაოსის შექმნისა და პრეზიდენტის მოშორებისკენ.

# იარაღის ქარხანა... მეჩეთის ქვეშ



**ისრაელის ძალებმა ღაზაში მდებარე მეჩეთის ქვეშ აღმოაჩინეს ქარხანა, რომელიც აწარმოებდა იარაღსა და უპილოტო საჰაერო ხომალდებს,** – ამის შესახებ ინფორმაციას ისრაელის თავდაცვის ძალების სპიკერი დანიელ ჰაგარი ავრცელებს.

**„მინდა, კარგად გაიაზროთ – ზაიტუნის მიდამოში მდებარე მეჩეთი გამოიყენებოდა იარაღის საწარმო ქარხნად. ჯარისკაცები შევიდნენ მეჩეთში და ჩაატარეს ჩხრეკა. ისრაელის საბრძოლო საინჟინრო კორპუსის ქვედანაყოფის განყოფილების ჯარისკაცებთან თანამშრომლობით აღმოვაჩინეთ მიწისქვეშ გვირაბი, სადაც რაკეტების საწარმო სახელოსნო მდებარეობდა“,** – აღნიშნა დანიელ ჰაგარიმ. ამასთან, ისრაელის არმიამ გაავრცელა ვიდეო, სადაც ნაჩვენებია იარაღის ლაბორატორია, რომელიც მდებარეობდა მეჩეთის ქვეშ ღაზის ქალაქ ზაიტუნის რაიონში.

# ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აღშფოთებულია!

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ტედროს ადანომ გებრეისუსი გმობს ღაზაში ინდონეზიურ საავადმყოფოზე თავდასხმას, რომლის დროსაც 12 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, პაციენტები.

**„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შეძრწუნებულია ღაზაში ინდონეზიურ საავადმყოფოზე თავდასხმის გამო. სამედიცინო მუშაკები და მშვიდობიანი მოქალაქეები არასდროს უნდა აღმოჩნდნენ ასეთი საშინელების წინაშე და, განსაკუთრებით, საავადმყოფოში ყოფნისას“,** – წერს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ ისრაელის თავდაცვის ძალების განმარტებით, ისინი პასუხობდნენ მტრის ცეცხლს, რომელიც მათ ჯარებს უმიზნებდა საავადმყოფოს შიგნიდან. მედიის ინფორმაციით, ჩრდილოეთ ღაზაში მდებარე ინდონეზიურ საავადმყოფოზე თავდასხმის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულებს შორის არიან პაციენტები, რომლებიც მკურნალობდნენ საავადმყოფოში, და სამედიცინო პერსონალი.

# დასავლეთ ბალკანეთში ნატოს დამატებითი კონტინენტი შევა

**ნატო განიხილავს დასავლეთ ბალკანეთში ჯარების რაოდენობის გამუდმებულ ზრდას, რათა დაძაბულობა კონტროლის ქვეშ მოაქციოს,** – ამის შესახებ განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა გააკეთა.

ალიანსმა კოსოვოში დამატებით ასობით ჯარისკაცი გაგზავნა ბრიტანეთიდან და რუმინეთიდან პოლიციასა და შეიარაღებულ სერბებს შორის დაპირისპირების შემდეგ.

**„ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი სარეზერვო ძალები სექტემბერში მომხდარი ძალადობის შემდეგ. ჩვენ ახლა განვიხილავთ, უნდა გვქონდეს თუ არა გამუდმებული ზრდა, რათა უზრუნველვყოთ, რომ სიტუაცია არ გამოვიდეს კონტროლიდან და არ შეიქმნას ახალი ძალადობრივი კონფლიქტი კოსოვოში ან უფრო ფართო რეგიონში. ასე რომ, დიახ, ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაც საჭიროა“,** – განაცხადა სტოლტენბერგმა. ნატოს კოსოვოს ძალების სამშვიდობო მისია, რომელიც მოქმედებს 1999 წლიდან, მოიცავს 4500-ზე მეტ სამხედროს 27 ქვეყნიდან.

# უკრაინაში რუსეთის მხარეს მებრძოლი ორმოცი ოსი დაიღუპა

**უკრაინაში რუსეთის მხარეს მებრძოლი ე.წ. სამხრეთ ოსეთის კიდევ ერთი მკვიდრი, ვლადიკ თედეევი დაიღუპა.**

თედეევი 36 წლის იყო. ამჟამად სამშობლოში მისი გადმოსვენება მიმდინარეობს. ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, ეს უკრაინაში დაღუპული მე-40 მებრძოლია, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან იყო. როგორც ოკუპირებული რეგიონის ყოფილმა დე ფაქტო ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა, უკრაინაში რუსეთის საოკუპაციო ძალების შემადგენლობაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის 1100 მკვიდრი იბრძვის.

# კადიროვმა პუტინი ჩეჩნეთში მიიწვია

**ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი რესპუბლიკაში ვიზიტით მიიწვია.**

როგორც პროკრემლისტური მედია წერს, **„კადიროვმა კრემლის ლიდერს მადლობა გადაუხადა რესპუბლიკაში სატრანსპორტო სექტორის აღდგენაში გაწეული დახმარებისთვის და ზოგადად ჩეჩნეთის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის“.**

თავის მხრივ პუტინმა, მადლობა გადაუხადა კადიროვს ჩეჩნეთში მოწვევისთვის.

**„ყველაფერი, რაც გაკეთდა რესპუბლიკაში, გაკეთდა ნიჭიერი, შრომისმოყვარე ჩეჩენი ხალხის ხელით“,** – აღნიშნა პუტინმა.



# დიდი სფინქსი მთლიანად ადამიანების გამოქანდაკებული არ არის!



**ვიდრე ძველეგვიპტელები გიზის დიდ სფინქსს გამოაქანდაკებდნენ, ერთი დიდი კირქვისგან ამ სახელგანთქმული მონუმენტის გამოკვეთაში შეიძლება გარკვეული წვლილი უკვე ჰქონდა შეტანილი ბუნებრივ ძალებს.**

სითხის დინამიკის ექსპერიმენტები ცხადყოფს, რომ ჩამჯდარი ლომის ფორმა სტრუქტურას არა ადამიანის ხელმა, არამედ სწრაფმა ქარებმა მისცა.

**„ჩვენ მიერ მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ სფინქსის მსგავსი ფორმაციები შეიძლება ეროზიის შედეგად წარმოიქმნას. ჩვენმა ლაბორატორიულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ სწრაფი ქარების შედეგად გამოწვეულ ეროზიას შეუძლია წარმოქმნას ფორმები, რომლებიც საოცრად ჰგავს სფინქსს“,** – ამბობს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფიზიკოსი ლიფ რისტროფი.

მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სფინქსის გამოქანდაკებაში ბუნების ხელიც ურევია, ახალი არ არის. მეცნიერები ჯერ კიდევ 1950-იან წლებში ვარაუდობდნენ, რომ ქანდაკების სხეული შეიძლება უძველეს დროში გამოკვეთა წყლის დინებებმა.

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით კი, ეს ქარმა ჩაიდინა, რომელსაც ქანების შესაფერისი ნაზავისთვის ზოგადი ფორმა უნდა მიეცა.

ეს მოსაზრება პირველად 1980-იან წლებში NASA-ს ყოფილ გეოლოგს, ფარუკ ელ-ბაზს გაუჩნდა. **„უძველესმა ინჟინრებმა ამ წარმონაქმნს შეიძლება ფარაონის სახე და ლომის ფორმა მისცეს, რისი შთაგონებაც უდაბნოში ნანახი ფორმებისგან უნდა მიეღოთ. ამისათვის, მათ ბუნებრივი წარმონაქმნის გარშემო გათხრებიც დასჭირდებოდათ“,** – წერდა ელ-ბაზი 2001 წელს.

ქარის ძალის მისაბაძად, რისტროფმა და მისმა კოლეგებმა რბილი და მყარი მასალებისგან შემდგარი თიხის ნაზავის ნაჭრები წყლის ნაკადს მიუშვირეს, რათა ენახათ, რა ფორმას მიიღებდა ისინი თანდათან.

წყლის მოძრაობები შეუსაბამეს 4500 წლის წინანდელ (სფინქსის ასაკი) გარემო პირობებს და საღებავი გამოიყენეს, რათა ეროდირებული თიხის გარშემო დინამიკური ნაკადებისთვის ედევნებინათ თვალი.

მიღებული ფორმები იარდანგებს წააგავს – ქვის წაგრძელებულ სვეტებს უდაბნოებში, სადაც ყოველი დაბრკოლებას ქარი ქვიშას ურტყამს. თანდათანობით, ქვიშის ასეთ დარტყმას ყველაზე მყარი და მასიური ქანების გამოჭრაც კი შეუძლია, რომლებიც დაგრეხილი სტრუქტურების ფორმებს იღებენ.

**„დღესაც კი არსებობს ჩამჯდარი ან დაწოლილი ფორმის იარდანგები, რაც მხარს უჭერს ჩვენს დასკვნებს“,** – ამბობს რისტროფი.

იარდანგების არარეგულარული გამონაშვერები, კუთხეები, გამრუდებები და ტექსტურები ქარის სიძლიერის, კუთხისა და სიხშირის კომბინაციათა შედეგია, ისევე, როგორც ქვის შემადგენლობის: პირველ რიგში ქანის რბილი ნაწილები განიცდის ეროზიას და რჩება შემთხვევითი, უფრო მტკიცე ფორმები, რომლებიც შემდეგ ქარის ზემოქმედებას განიცდიან.

სფინქსის შემთხვევაში, ქარის სწრაფმა ნაკადებმა უფრო მტკიცე „თავი“ და „თათები“ გამოკვეთა, თანდათან გაჩნდა „კისერიც“, საბოლოოდ კი, ჰაერის მძლავრი ნაკადების წყალობით, სტრუქტურამ დიდი კატის მხრებიც მიიღო.

**„ამ შერეული ეფექტებით შეიძლება აიხსნას ეროზიის მაღალი მაჩვენებელი თავის ქვემოთ ზონაში, რამაც გამოკვეთა კისერი და თათებიც“,** – წერენ მკვლევრები.

სფინქსის ეროზია დღესაც გრძელდება. როგორც ელ-ბაზი წარსულში აღნიშნავდა, ბუნების გავლენის გარეშე, ძველეგვიპტური საოცრებები ასეთ მკაცრ გარემოში დროს დიდხანს ვერ გაუძლებდნენ.

დიდი სფინქსი მართლაც შთამბეჭდავია. სიმაღლეში 20 მეტრამდე აღწევს, სიგრძეში კი 73 მეტრამდე და მართლაც, რამდენ დროს გაუძლო ამ საოცარმა ქმნილებამ...

**კვლევა Physical Review Fluids-ში გამოქვეყნდა.**

**მომზადებულია nyu.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.**

**მიხეილ ჭაბუკაშვილი**

ცოტა ხნის წინათ სტუდენტობის მეგობარმა და დღეს პროფესორმა პაატა ნაცვლიშვილმა ძვირფასი საჩუქრით გამახარა. ეს იყო პირველი წიგნი ბიოგრაფიული გამოკვლევისა „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“.

მაშინვე ვუთხარი, რაკი „წიგნი პირველი“ აწერია, მეტს თუ არა, მეორე წიგნს მაინც უნდა ველოდოთ-მეთქი.

მეორე წიგნსაც მიიღებო, — დამაიმედა.

ამ ზაფხულს, აგვისტოს დასაწყისში, ის შეპირებული „მეორე წიგნიც“ მივიღე. თანაც რა დროს! — მყინვარწვერზე პირველი ქართული ასვლიდან 100 წლის საიუბილეო ასვლის სამზადისისას, სადაც პაატაც უნდა წამოსულიყო, მაგრამ, ამჯერად, ეს ექიმებმა არ ურჩიეს.

ჰოდა (როგორც პაატა იწყებს ხოლმე), რაღა დაგვრჩენოდა: პაატას ნაცვლად, საიუბილეო ასვლის მონაწილეებმა, 28 აგვისტოს პაატას წიგნი ვიახლეთ მყინვარწვერზე და იქიდან ჩვენი ავტოგრაფებით დამშვენებული დავუბრუნეთ.

გაიხარა ავტორმა გიორგი ნიკოლაძის მარშრუტიდან უკან „მშვიდობით მობრუნებული“ წიგნით.



# პაატა ნაცვლიშვილის „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“

ცნობისთვის: მთამსვლელობით ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაინტერესებული პაატა ნაცვლიშვილი მყინვარწვერზე პირველად 1973 წელს ავიდა, 50-ე საიუბილეო ასვლის მონაწილეებთან ერთად, რომელიც ცნობილი მთამსვლელის შოთა მირიანაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა. ჩვენს ჯგუფში იყო ერთ-ერთი 1923 წელს გიორგი ნიკოლაძის იმ პირველი ასვლის მონაწილე ხუთი ქალიდან – უკვე 70 წლის ქალბატონი მარო ტყავაძე.

იმ ასვლიდან მოყოლებული პაატა ნაცვლიშვილი სერიოზულად დაინტერესდა გიორგი ნიკოლაძის პიროვნებით, საერთოდ – ნიკო ნიკოლაძის ოჯახით და დღეს ამ დიდი ოჯახისა და მათი მემკვიდრეობის აღიარებული მკვლევარია. წლების განმავლობაში მან არაერთი წერილი თუ გამოკვლევა მიუძღვნა ნიკოლაძეებს, რაც აგერ ახლახან ან მონუმენტური ორტომეულით დაგვირგვინდა.

ეს ორტომეული თავადაც მწვერვალია, პაატა ნაცვლიშვილის – როგორც მეცნიერის, როგორც მკვლევრის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი, მისი მაძიებელი შემოქმედების ერთ-ერთი მწვერვალი.

ორტომეულის მეორე წიგნში პაატა ნაცვლიშვილს მოჰყავს გიორგი ნიკოლაძის სხვა ასვლების მონაწილე აკადემიკოს ნიკო კეცხოველის სიტყვები:

„მე რომ მკითხონ, როგორი გინდა, რომ ქართველი კაცი იყოსო, დაუყოვნებლივ ვუპასუხებდი, ისეთი, როგორიც გიორგი ნიკოლაძე იყო!“

ეს ნაშრომი სწორედ ასეთად წარმოგვიდგენს გიორგი ნიკოლაძეს, სწორედ ისეთ ადამიანად, როგორიც გვინდა, რომ თითოეული ქართველი იყოს, როგორებიც გვინდა, რომ გაიზარდონ ჩვენი შვილები.


საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
პაატა ნაცვლიშვილი
ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა
ორ წიგნად
წიგნი მეორე
გამომცემლობა „პეტიტი“
თბილისი
2022

პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი თავის ორტომეულში კარგად ნაცნობი, ნაკლებად ცნობილი, დღემდე უცნობი თუ ავტორის მიერ ახლად გამოვლენილი მასალებით წარმოაჩენს გიორგი ნიკოლაძის პორტრეტს – გვაჩვენებს მას, როგორც ნიკო ნიკოლაძის შვილს, როგორც მზრუნველ ძმას, როგორც თბილისის პირველი გიმნაზიის მოსწავლეს, როგორც პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტს, როგორც მეტალურგს, როგორც ქართული „შევარდენის“ დამფუძნებელს, როგორც ტანმოვარჯიშეს, როგორც ქართული და ზოგად პროფესიონალური საბჭოთა ალპინიზმის მესაძირკვლეს, როგორც ჟორჟეტა ღამბაშიძის სატრფოს და შემდეგ მის მეუღლეს, როგორც ველოსიპედებით ევროპის ქვეყნებში მოგზაურს, როგორც სორბონის უნივერსიტეტის დოქტორს, როგორც მეცნიერს, როგორც არითმომეტრის გამომგონებელს, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრს, როგორც თბილისის ახალდაარსებული უნივერსიტეტის პროფესორს...

პაატა ნაცვლიშვილმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ბევრი რამ მოისმინა ნიკოლაძეთა ოჯახის უმცროსი მეგობრის, ჟურნალისტ ალექსანდრე სიგუასგან, რომელმაც იგი რუსუდან ნიკოლაძეს წარუდგინა და წლების შემდეგ მისი გამოუქვეყნებული მოგონებების ხელნაწერებიც ანდო!

პაატასგან არაფერია გასაკვირი, მაგრამ ამ უნიკალური ორტომეულის მკითხველს მაინც დაგაფიქრებს – სხვა მრავალი საპასუხისმგებლო საქმის პარალელურად, ათწლეულების განმავლობაში, როგორ ჯიუტად ეძებდა და უღრმავდებოდა ამ სულით ხორცამდე ქართული ოჯახის თითოეული წევრის ბიოგრაფიას, როგორ ეძებდა ყველას, ვისთანაც ნიკოლაძეებზე ესა თუ ის ინფორმაცია თუ უნიკალური ფოტომასალა ეგულებოდა – იქნებოდა ეს ნიკო ნიკოლაძის ძმის შვილიშვილი ზაზა აბზიანიძე თუ გიორგი ნიკოლაძის პარიზელი ბიძაშვილიშვილები რეზო და ნათელა ნიკოლაძეები, სახელმწიფო თუ პირადი არქივები და კოლექციები. სოფელი დიდი ჯიხაიში და ნიკოლაძეთა სახლ-კარი, აქაური სახლ-მუზეუმის მთელი კოლექტივი პაატა ნაცვლიშვილს ელოდებოდნენ და ელოდებიან არა როგორც სტუმარს, არამედ როგორც ნიკოლაძეთა დიდი ოჯახის წევრს.

**ასე თანდათან გროვდებოდა და 1970-იანი წლების ბოლოდან პაატა ნაცვლიშვილის ავტორობით ჟურნალ-გაზეთებში სტატიებისა და გამოკვლევების სახით თუ ცალკე წიგნებად იბეჭდებოდა: „პროფესორი მოკლე შარვლით“ (საკმაოდ თამამი სათაურია 70-იანი წლებისთვის!), „ნიკოლაძეთა საგა“, „ნიკო ნიკოლაძის სიკვდილი და დასაფლავება“, „დიდი მეთანდათანობე“, „დიდი ნიკო“, „გიორგი ნიკოლაძე – მწვერვალმსვლელი და თაობათა იდეალი“, „უცნობი ფრანგი ბიჭუნა – გიორგი ნიკოლაძე“. ამ უკანასკნელი გამოკვლევით ოლიმპიური მოძრაობის აღიარებულმა მკვლევარმა, ოლიმპიურ ისტორიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების წევრმა პაატა ნაცვლიშვილმა დაასაბუთა, რომ ოლიმპიურ ისტორიაში „უცნობის“ სახელით შესული 10-12 წლის ბიჭი, რომელმაც 1900 წელს ოლიმპიადაზე ჰოლანდიელებთან ერთად გაიმარჯვა ნიჩბოსნობაში, სწორედ გიორგი ნიკოლაძეა!**

ამჟამად ხელთ გვაქვს ავტორისავე დიზაინით გაფორმებული და მის მიერვე დაკაბადონებული 564-გვერდიანი ორტომეული, რომელშიც ვრცლად არის აღწერილი გიორგი ნიკოლაძეთა ცხოვრება და ღვაწლი. და ეს მოცემულია მამამისის – ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და ღვაწლის ფონზე. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის უნიკალური ფოტომასალა, რაც ამ ტომებშია თავმოყრილი. საერთოდ აღსანიშნავია, რომ არაერთი მასალა – ფოტო იქნება ეს თუ უცნობი მოგონება, მიმოწერა თუ რაიმე სხვა წყარო ამ ორტომეულში პირველად ქვეყნდება.

გაეცნობი ამ საოცარი ოჯახის ისტორიას, მისი თითოეული წევრის მრავალმხრივ საქმიანობას, მათ მიღწევებს – ხანდახან რადიკალურად განსხვავებულ სფეროებში და გიკვირს, როგორ შეიძლება ერთი პიროვნება (ნიკო ნიკოლაძე) ერთდროულად იყოს თვალსაჩინო ჟურნალისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პირველი ქართველი, რომელმაც რუსეთის იმპერიის გარეთ მოიპოვა სამეცნიერო წოდება, იყოს ამიერკავკასიაში მრეწველობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების პიონერი, საქართველოში რკინა-ბეტონის პირველი შემომტანი, გვირაბების, ხიდებისა და ელექტროსადგურების მშენებლობის დამწყები კავკასიაში, ასევე ჭიათურის მარგანეცის, ტყიბულის ქვანახშირისა და ბაქოს ნავთობის მოპოვება-გადამუშავების, თავის დროზე ,,მკვდარ პორტად“ წოდებული ფოთის პორტის შავი ზღვის აუზის ერთ-ერთ საუკეთესო ნავსადგურად ქცევის ინიციატორი.

**...და, ამავე დროს, 1873 წელს ნიკო ნიკოლაძე ადის დუშეთში და მომრიგებელ მოსამართლედ განწირულ ილია ჭავჭავაძეს არწმუნებს, რომ თავი დაანებოს ამ სამსახურს და ქართულ მწერლობას, საქვეყნო ასპარეზს დაუბრუნდეს.**

ასევე მრავალმხრივია შვილის, გიორგი ნიკოლაძის ინტერესთა სფერო. აქაც ხშირად დაგვჭირდება სიტყვების – „პირველი“, „დამწყები“, „ინიციატორი“ – გამოყენება. ერთს დავასახელებ მხოლოდ – 1923 წელს, ზემოთ ნახსენები პირველი ქართული ჯგუფის ასვლას მყინვარწვერზე, საიდანაც ოფიციალურად იწყება ქართული (და საბჭოთა პროფესიონალური) ალპინიზმის ისტორია. ამ ასვლას გამოეხმაურა მყინვარწვერზე პირველი ამსვლელი, ინგლისელი დუგლას ფრეშფილდი, რომელსაც გიორგი ნიკოლაძე ლონდონში შეხვდა და რომელთანაც გიორგის მიმოწერას პაატა ნაცვლიშვილი ამ წიგნში პირველად აქვეყნებს.

რამდენი რამ დარჩებოდა უცნობი ან მიყურისძირებული ამ უღირსეულესი ოჯახის თითოეულ წევრის შესახებ, რომ არა მარად მოუსვენარი და დაუღალავი პაატა ნაცვლიშვილი, რომელმაც არც დრო, არც ენერგია და ხშირად – არც საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები დაიშურა ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად. ნაშრომიდან ვიგებთ, რომ გზადაგზა იყო სირთულეებიც და მავანთა მიერ ამ ოჯახის მემკვიდრეობის მიმართ ის უგუნური დამოკიდებულებაც, რამაც ამ ოჯახის ძვირფასი განძი, მათი უნიკალური არქივი ვერც ქართულ კულტურას შეუნარჩუნა და ვერც სამშობლოს!

რომ არაფერი ვთქვათ პაატა ნაცვლიშვილის სხვა წიგნებზე (არადა, მათზეც აუცილებლად უნდა ითქვას, სხვა დროს და სხვათა მიერ), ავტორს ეს ორტომეულიც ეყოფოდა „ცხოვრების წიგნად“.



**წიგნის პირველი ტომი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით დაიბეჭდა, მეორე ტომი კი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის ხელშეწყობით.**

**ამ მოკლე მიმოხილვაში თუ რეცენზიაში ძნელია ჩამოთვალო ყველაფერი ის, რასაც ამ წიგნებში გაეცნობა ბედნიერი მკითხველი. დიახ, ბედნიერი, რადგან წიგნის ტირაჟი, სამწუხაროდ მხოლოდ 300 ეგზემპლარია და ის გამოსვლისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ პაატა ნაცვლიშვილის „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“ კიდევ არაერთხელ გამოიცემა და თანაც დიდი ტირაჟით.**

**ჩვენს დღევანდელ ახალგაზრდობას ძალიან სჭირდება ასეთი გამოცემები – სასარგებლო და საინტერესო, ინფორმაციითა და ემოციებით დამუხტული.**

**ბაბუა ალუდაური**

◉ რას ვერჩით ერისქალს?



# მადლს მარილიც მოვაყაროთ!

**თითქოს ვაღმერთებთ ჭადრაკის დედოფალს ნონა გაფრინდაშვილს, მაგრამ გულისტკივილი, რომელიც უნდა გაგიზიაროთ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი საამაყო ერისქალის თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი არმიის სათქმელიც გახლავთ.**

საუბარია „ტელეიმედის“ 20-საათიანი ცენტრალური საინფორმაციო გამოშვების ეგრეთწოდებული ქუდის სპორტულ ჩანართზე, რომელსაც ბრძენთა თამაშის ცოცხალი ლეგენდის სახება რატომღაც არ ამშვენებს.

ბუნებრივია, უდიდეს პატივს ვცემთ პროგრამის მენეჯერის სახელოვან დანარჩენ რჩეულებს, ვინც ასეთი დაფასება ნამდვილად დაიმსახურეს: ლაშა ტალახაძეს, ლაშა ბექაურს, ხვიჩა კვარაცხელიას, მორაგბეებსა თუ კალათბურთელებს, მაგრამ, დაგვეთანხმებით, მსოფლიოს ხუთგზისა და ოლიმპიადების თერთმეტგზის ტრიუმფატორი მაინც სხვაა, მით უმეტეს იმ არხის მაყურებელთათვის, რომლის დამფუძნებელიც სწორუპოვარი თანამემამულის ღირსეული თანამებრძოლი, ბატონი ბადრი პატარკაციშვილიც გახლდათ ნაციონალური კოშმარის წინააღმდეგ უახლოეს წარსულში წარმოებულ უკომპრომისო ომში.

ასე რომ, ვიმედოვნებთ, ჩვენი ძვირფასი კოლეგები აწი მაინც გაითვალისწინებენ აღნიშნულ კეთილ სურვილს და სამართალს პურს აჭმევენ!

**გია პლატონიშვილი**

◉ ლეგენდის თასი

# მაიას ქალაქში

**ქუთაისში გამართულ მაია ჩიბურდანიძის თასზე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის 146 მოჭადრაკე მონაწილეობდა.**

შეჯიბრი შვეიცარიული სისტემით 11 ტურად ჩატარდა და მისი საპრიზო ფონდი 20 000 ლარს შეადგენდა.

ღონისძიების ორგანიზატორები გახლდნენ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია და ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება.

### საბოლოო სატურნირო შედეგები:

**ღია:**

**I ადგილი** – დავით ბენიძე (ქუთაისი) – 10 ქულა; **II ადგილი** – გიორგი წანაწყენიშვილი (გურჯაანი) – 8,5 ქულა; **III ადგილი** – ვასიკო შაპოვალოვი (ვანი) – 8,5 ქულა;

**ქალები:**

**I ადგილი** – თამარ ესაძე (ქუთაისი) – 8 ქულა; **II ადგილი** – ციალა ქასოშვილი (გორი) – 7 ქულა; **III ადგილი** – ნინო გუნია (ლანჩხუთი; მწვრთნელი ტარიელ ხუხუნაიშვილი) – 7 ქულა;

**სენიორები:**

**I ადგილი** – ზურაბ ლიფონავა (სენაკი) – 7,5 ქულა; **II ადგილი** – ციალა ქასოშვილი (გორი) – 7 ქულა; **III ადგილი** – ტარიელ ხუხუნაიშვილი (ლანჩხუთი) – 7 ქულა;

**14 წლამდე ჭაბუკები:**

**I ადგილი** – გიორგი ჩალაძე (ქუთაისი; მწვრთნელი ხათუნა გუბელაძე) – 8 ქულა; **II ადგილი** – გაგა გვასალია (ფოთი; მწვრთნელი გოჩა ჩაჩუა) – 7,5 ქულა; **III ადგილი** – დანიელ ღონიაძე (ქუთაისი; მწვრთნელი გიორგი ტყეშელაშვილი) – 7,5 ქულა;

**14 წლამდე გოგონები:**

**I ადგილი** – ლიკა ჩხარტიშვილი (თბილისი; მწვრთნელი დავით მაღალაშვილი) – 6,5 ქულა; **II ადგილი** – თეკლა კოღუაშვილი (ქუთაისი; მწვრთნელი ხათუნა გუბელაძე) – 6,5 ქულა; **III ადგილი** – ბარბარე აშოთია (ქუთაისი) – 6 ქულა;

**12 წლამდე ჭაბუკები:**

**I ადგილი** – ლუკა გოგავა (ქუთაისი; მწვრთნელი გიორგი ტყეშელაშვილი) – 8 ქულა; **II ადგილი** – გაბრიელ გაბადაძე (ქუთაისი; მწვრთნელი გიორგი ტყეშელაშვილი) – 7,5 ქულა; **III ადგილი** – დავით თათვიძე (ქუთაისი; მწვრთნელი ირაკლი ახვლედიანი) – 7 ქულა;

**12 წლამდე გოგონები:**

**I ადგილი** – ანასტასია ჭიჭინაძე (ქუთაისი; მწვრთნელი გიორგი მენაბდე) – 6,5 ქულა; **II ადგილი** – ნინი წივწივაძე (თერჯოლა; მწვრთნელი გია ჭუმბურიძე) – 6,5 ქულა; **III ადგილი** – ანასტასია ქუთათელაძე (ქუთაისი; მწვრთნელი ინგა კიკვიძე) – 6 ქულა;

**10 წლამდე ჭაბუკები:**

**I ადგილი** – ზურაბ მალანია (სენაკი; მწვრთნელი ზურაბ ლიფონავა) – 7 ქულა; **II ადგილი** – იოანე სვანიძე (ქუთაისი; მწვრთნელი ნანა ჭეფხოძე) – 6,5 ქულა; **III ადგილი** – რევაზ ცივაძე (ქუთაისი; მწვრთნელი ნანა ჭეფხოძე) – 6,5 ქულა;



**10 წლამდე გოგონები:**

**I ადგილი** – მარიამ გიორგაძე (ქუთაისი; მწვრთნელი გიორგი მენაბდე) – 6,5 ქულა; **II ადგილი** – მართა დოგრაშვილი (ქუთაისი; მწვრთნელი გიორგი ტყეშელაშვილი) – 6 ქულა; **III ადგილი** – სარა სალთხუციშვილი (თბილისი; მწვრთნელი დავით ზარქუა) – 5 ქულა.

◉ ევრო – 2024

# კონტრასტული დასასრული

**ესპანეთთან ევრო – 2024-ის ჯგუფური ტურნირი მოსალოდნელი მარცხით დავხურეთ, მაგრამ ამ გუნდების თბილისური მატჩისგან განსხვავებით, რომელიც აღნიშნული რაუნდის რამდენიმე სხვა შეხვედრის მსგავსად რთულ კლიმატურ პირობებში ჩავატარეთ, ამჯერად წყალბურთის ნაცვლად ფეხბურთი ვითამაშეთ.**

**ესპანეთი – საქართველო 3:1**
**პირველი ტაიმი 1:1**

მართალია, ვალიადოლიდში ბუნებამ დაგვინდო, მაგრამ სამაგიეროდ ახალი მტერი გამოგვიჩნდა, რამაც ნახევარი საუკუნის წინანდელი მწარე გაკვეთილი გაგვახსენა. საუბარია თბილისის დინამოს მიერ უეფას თასზე ტოტენჰემთან ლონდონში პირწმინდად წაგებულ „თავბურთზე“, რადგან მასპინძლებმა ხუთივე(!) ბურთი მეორე სართულიდან გაგვიტანეს – 1:5 (მაკგრატი, ჩივერსი – 2, პიტერსი – 2).

მოკლედ, შესარჩევი ციკლის ფინიშზე სამივეჯერ საჰაერო ბრძოლების დათმობამ გაგვაწბილა (ლენორმანი, ფერნან ტორესი და ლოჩოშვილის დასანანი ავტოგოლი), ვილი სანიოლის შეგირდებს კი აქტივში მამარდაშვილის რამდენიმე მხსნელი ნახტომი და ძველ კონდიციებთან მიახლოებული ჩაკვეტაძის მორიგი შედეგიანი გადაცემა შეგვიძლია ჩავუთვალოთ, რომელიც კვარაცხელიამ საპასუხო გოლად უკვე მე-10 წუთზე აქცია.



საერთოდ, პირველი ნახევარი საკვალიფიკაციო ეტაპის საუკეთესო ტაიმად გვესახება, რომელიც გავის მიერ მიღებულმა მძიმე ტრავმამ გააუფერულა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბარსელონას ნახევარმცველმა ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა, რაც დაახლოებით რვათვიან მკურნალობას და, სავარაუდოდ, გერმანული ფორუმისა და პარიზის ოლიმპიადის გამოტოვების ტოლფასი გახლავთ.

რაც შეეხება ხვიჩას ზუსტი დარტყმების სერიას, მან სანაკრებო ბალანსი 15-მდე აიყვანა, რაც მესამე შედეგია იაშვილთან წყვილში და ამ მაჩვენებლით მხოლოდ შოთა არველაძესა (26) და თემურ ქეცბაიას (17) ჩამორჩება. დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ აღებულ ტემპს შეინარჩუნებს, ჯვაროსანთა ახალი ლიდერი ბომბარდირთა დავაში მალე დაწინაურდება, მაგრამ...

დიახ, რამდენადაც ნაპოლის ვარსკვლავი ძველებურად აკაშკაშდა წმინდა საფეხბურთო კომპონენტებში და მიმდინარე სეზონში უნივერსალობაში გამოსახული პოზიციების ნაყოფიერად ცვლითაც გამოირჩევა, იმდენად მოუმატა მსაჯებთან თუ მეტოქეებთან აწეული ტონითა თუ მიმიკით გამოხატულ „დიალოგებს“, რითაც, უპირველესად, მისი პარტნიორები ისჯებიან.

ასე მოხდა პირენეებზეც, სადაც კვარამ საბედისწერო ყვითელი ბარათი მიიღო, რის გამოც 21 მარტს ლუქსემბურგთან ერთა ლიგის უმნიშვნელოვანეს საშინაო ნახევარფინალს გამოტოვებს. სამწუხაროდ, შესაძლოა გარდა მისი გაუმართლებელი საქციელისა საქმე თვით სტაფის ელემენტარულ უმეცრებასთანაც გვქონდეს, რაც კიდევ უფრო მძიმე შემთხვევაა.

დიახ, არაა გამორიცხული, დელეგაციის მაღალი დონის წევრებმა არ იცოდნენ უეფას დებულება და არ გააფრთხილეს ბიჭები დისციპლინური სანქციების ალბათობაზე. აკი, ტელეკომენტატორები გვამშვიდებდნენ კიდეც – სანერვიულო არაფერია, რადგან პლეი-ოფებში ეს ბარათი უქმდებაო. ასეა თუ ისე, ურემი გადაბრუნდა და თითზე კბენანი უკვე გვიანია.

# –ორიოდე სიტყვით–

## კრივი

**ბუდვა (მონტენეგრო).** 19-22 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. საპრიზო ფონდი – 500 000 დოლარი. 34 ქვეყნიდან 300-მდე მონაწილე. **ვერცხლი** – ლაშა გაგნიძე (63,5 კგ). **ბრინჯაო** – გიორგი გუცაევი (86 კგ) და რაჰიბა ისმაილოვა (48 კგ).

## ფიგურული სრიალი

**პოლონეთი.** ჩელენჯერის სერიის ტურნირი „ვარშავის თასი“. წყვილები. **ოქრო** – ანასტასია მეტელკინა, ლუკა ბერულავა (204.01 ქულა. ორი პროგრამის ჯამში სეზონის სარეკორდო მაჩვენებელი).



## ძიუდო

**პოტსდამი (გერმანია).** უკვე გაგაცანით ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატის 2-2 ოქროსა და ვერცხლის მფლობელ თანამემამულეთა ვინაობა. დავძენთ, რომ ახალგაზრდული ფორუმის ბრინჯაო დაიმსახურეს კოტე კაპანაძემ (73 კგ) და საქართველოს ნაკრებმა (შერეული გუნდური ტურნირი). ჯვაროსნები სტარტზე ნიდერლანდებთან მძაფრ ბრძოლაში დამარცხდნენ, მაგრამ შემდეგ ავსტრიასა (რეპეშაჟი) და აზერბაიჯანს (მესამე ადგილისთვის) სძლიეს.

## კალათბურთი

**იტალიის სერია – ა.** მე-8 ტური. ვირტუს ბოლონია – ბრეშია 88:76. **თორნიკე შენგელია** – 26 ქულა, 7 მოხსნა, 6 შედეგიანი გადაცემა, 1 ჩაჭრა 26 წუთში. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტნის გუნდი 7 გამარჯვებით გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია.

# მშობიარობა და საკეისრო კვეთა ყველა მოქალაქისთვის უფასოა!



**საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მშობიარობა და საკეისრო კვეთა ყველა მოქალაქისთვის სრულად ფინანსდება. აღსანიშნავია, რომ დაფინანსება მოიცავს არჩევით ექიმის აყვანისა და გაუტკივარების საფასურს; ასევე, მედიკამენტების, კვების, პალატის, სხვა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯს. შესაბამისად, პაციენტს თანხის გადახდა არ მოუწევს,** – ინფორმაციას ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

**უწყების ცნობით, DRG მოდელით მშობიარობისა და საკეისრო კვეთის მომსახურების ტარიფები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში 1 222 ლარით განისაზღვრა. რაც შეეხება ჩვენების გარეშე, პაციენტის მოთხოვნის საფუძველზე ჩატარებულ საკეისრო კვეთას ან ე.წ. VIP პალატის მომსახურებას, აღნიშნული სერვისები სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება.**

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, ცვლილება სამედიცინო დაწესებულებების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების სისტემის გაფართოების შედეგად განხორციელდა.

# შატილში ათკილომეტრიანი გზა გაიჭრა



**შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლების არდოტი-ანდაქი-არჭილოს დამაკავშირებელი 10 კმ-მდე საავტომობილო გზა გაიჭრა. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსდა.**

დასრულებულ პროექტსა და სოფლებში არსებულ ვითარებას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად გაეცნო.

# უბედური შემთხვევა თბილისში

**ორთაჭალაში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. სატვირთო მანქანა მოზარდს დაეჯახა. მოზარდი ადგილზე დაიღუპა.**

თვითმხილველების ცნობით, მძღოლს მანქანა დაუგორდა. მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

# ქუთაისელი „კანონიერი ქურდი“ ამერიკაში გაკვაჭეს...

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ფულის გამოძალვის ბრალდებით ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრები დააკავეს,** – ინფორმაციას ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქის პროკურატურა ავრცელებს.

განცხადების მიხედვით, დაკავებულები არიან ე.წ. კანონიერი ქურდი ვაჟა გაბადაძე, იგივე „ნათან იუსუპოვი“, კახა კაცაძე, თეიმურაზ თავბერიძე იგივე „თავა“, დავით ტიკარაძე.

ნიუ-იორკის პროკურატურის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციაში დაკონკრეტებულია, რომ 14 ნოემბერს დაკავებული 4 პირი ქუთაისიდან არიან.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გაბადაძე და მისი თანამოაზრეები მსხვერპლისთვის ფულის გამოძალვას, ფიზიკური ძალადობის მუქარით ცდილობდნენ, დანაშაული კი 2022 წლის სექტემბრიდან 2023 წლის აგვისტოს პერიოდში მოხდა.

პროკურატურა აღნიშნავს, რომ 41 წლის გაბადაძეს, 45 წლის კაცაძეს, 54 წლის თავბერიძეს და 53 წლის ტიკარაძეს **20 წლამდე პატიმრობა** ემუქრებათ.

# ყველაზე დიდი პროცესი მაფიის წინააღმდეგ დასრულდა

**იტალიაში დასრულდა მაფიის წინააღმდეგ ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი სასამართლო პროცესი, რომელიც 30 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. საერთო ჯამში განაჩენი 200-ზე მეტ ადამიანს გამოუტანეს.**

საუბარია მაფიოზურ დაჯგუფებაზე „ნდრანგეტაზე“, რომელიც იტალიის სამხრეთ ნაწილში მოქმედებს. საერთო ჯამში პროცესზე 338 ადამიანი ფიგურირებდა. მათ 400-ზე მეტ პუნქტზე ბრალი წაუყენეს, მათ შორის ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობაზე, გამოძალვასა და მაფიოზურ სტრუქტურებთან კავშირისთვის. საბოლოოდ სასამართლომ 131 ადამიანი გაამართლა, ხოლო 207-ს საერთო ჯამში 2000-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ყველაზე სერიოზული სასჯელი „ნდრანგეტას“ ორ წამყვან წევრს – სავერიო როციოანლემ და დომენიკო ბონავოტეს – 30-30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ასევე 11- წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს პარლამენტის ყოფილ წევრს ჯანკარლო პიტელის.

სულთათანა

# შთამომავლობას კეთილი სიტყვით გადაეცემა...



**ურთულესია ახლა ამ წერილის დაწერა... საოცრად რთული... უამრავი მოგონების შუაგულში ვარ და გული მტკივა, რადგანაც ქართული პედაგოგიური ელიტის დიდი ბერმუხა მივაბარეთ მშობლიურსა და უსაყვარლეს მიწას, ადამიანურობისა და მოქალაქეობრივი ღირსების ეტალონი, ქალბატონი აზა ბუაძე.**

**შეუძლებელია, ერთსა და იმავე დროს ეს პწკარები მოკლეც იყოს და ამომწურავიც... საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირს წმინდანეთი უნდა ერქვას, აქ ისეთ კორიფეთა სულიერება მეფობს, სწორედ ამ წმინდანეთში თავისი სიწმინდითა და სიწრფელით ათეულობით წლები იმსახურა პროფესორმა აზა ბუაძემ, იგი ყოველგვარი ამბიციების გარეშე პედაგოგთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის რანგში ურყევად იდგა.**

**საოცრად ლამაზი, მეცნიერული, პედაგოგიური და შემოქმედებითი გზა განვლო ქალბატონმა აზამ, მის სახელს დავიწყება არ უწერია, მას ყოველთვის გულთბილად მოიხსენიებენ, რამეთუ ხალხის, საზოგადოების წინაშე პატიოსანი შრომით მოხდილი ვალი არასოდეს იკარგება, იგი ღვივდება, თითოეულის გულში იბუდებს და შთამომავლობას კეთილი სიტყვით გადაეცემა...**

**საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი**

# აკაკი ზოიძის საოცარი სამყარო



**ბედი უღელია ჩვენივე სულისა, ხოლო სული, ჭეშმარიტებისაკენ რომ გეწევა, უღელია ჩვენი ბედისა. ადამიანი ისეთივე ამოუწურავი, აუხსნელი ცნება და სიდიდეა, როგორც თვით ბუნება... თუ დავუშვებთ, რომ იგი მუდამ ორ პოლუსს – ადამიანის მოცემულ რეალურ ყოფასა და ადამიანის შესაძლებელ ყოფას შორის არის მოქცეული, მაშინ უნდა დავუშვათ აუცილებელი „მესამეც“, ორ პოლუსს შორის მოქცეული „მესამის კონგლომერატი“, რომელიც ადამიანთა ორივე პოლუსის მაკონტროლებელია, ზებუნებაა, სიყვარულის ფენომენია...**

**დიახ, სწორედ ეს ცნება და ფენომენი აკავშირებდა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს, პროფესორ აკაკი ზოიძეს საზოგადოებასთან და პირიქით, საზოგადოებას მასთან... უდიდესი დანაკლისია ქართული მეცნიერებისათვის მისი გარდაცვალება... საოცარია სამყარო... მსუბუქი ყოფილიყოს, ბატონო აკაკი, თქვენთვის მშობლიური ბათუმის მიწა...**

**საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი**

---

**საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის**

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს თბილისი-საგარეჯო და საგარეჯო-ბაკურციხის (საგარეჯოს აღმოსავლეთიდან (თოხლიაურის გადაკვეთა) ბადიაურამდე მდებარე საავტომობილო გზის მონაკვეთი) საავტომობილო გზის (ლოტი III) გაუმჯობესების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა ზაური ლუცუბიძის (პ/ნ 36001033370), ინდირა მესხიას (პ/ნ 62006023768) და ნინო მესხიას (პ/ნ 62502010310) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/ მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ბადიაურში მდებარე 1711 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.06.60.286) ნაწილი - 125 კვ.მ მიწის ნაკვეთი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 14 ნოემბრის №1-1/448 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.




## ანასტასია და „რანინა“ ევროვიზიაზე მეათე ნომრად წარდგებიან

**წლევანდელ საბავშვო ევროფესტივალს ესპანეთი გახსნის და ნიდერლანდების წარმომადგენელი დახურავს. მასპინძელი საფრანგეთი კონკურსზე მე-12 ნომრად წარდგება.**

16 მონაწილე ქვეყნის რიგითობა ორშაბათს, გახსნით ცერემონიაზე გახდა ცნობილი. დღეიდან კი კონკურსანტები პირველ რეპეტიციებს დიდ სცენაზე გაივლიან.

პროექტ „რანინას“ გამარჯვებული ანასტასია ვასაძე და „რანინას“ მონაწილეები, ოთო ბაზერაშვილი და ნიკოლოზ ხარატი საქართველოს სახელით საბავშვო ევროვიზიაზე სიმღერით Over The Sky წარდგებიან. საქართველოს სახელით ჟიურის ქულებს საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენელი, მარიამ ბიგვავა გამოაცხადებს. რიგით 21-ე საბავშვო ევროვიზია ნიცაში 26 ნოემბერს გაიმართება და მასში მონაწილეობას 16 ქვეყანა მიიღებს. ტრადიციულად, პირდაპირ ტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ.

## შოტლანდიური ვისკის რეკორდული ფასი



**SOTHEBY'S აუქციონზე ვისკი The Macallan 1926 42.7 მილიონად გაიყიდა, რაც აუქციონზე გაყიდული ალკოჰოლური სასმელებისთვის რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია.**

საუბარია 1986 წელს ჩამოსხმული მხოლოდ 40 ბოთლიდან ერთ-ერთზე. The Macallan-მა 1926 წლის მოსავალი კასრებში 60 წლის განმავლობაში დააყოვნა, რის შემდეგაც მხოლოდ 4 ათეულ ბოთლში გადაანაწილა და თავის ტოპ-კლიენტებს შესთავაზა. სხვაგვარად ამ ბოთლების შეძენა შეუძლებელი იყო. ამიტომ, ყოველთვის, როდესაც ერთ-ერთი ამ ბოთლებიდან აუქციონზე ჩნდება, ის რეკორდულ ფასად იყიდება. მაგალითად, 2019 წელს, ანალოგიური ვისკი 41,9 მილიონად გაიყიდა.

## ვინ მოირგო ნაპოლეონის ქუდი



**ნაპოლეონ ბონაპარტის კუთვნილი ქუდი პარიზში, Osenat-ის აუქციონზე 1,9 მილიონ ევროდ გაიყიდა.**

თავდაპირველად ექსპერტები ლოტის სავარაუდო ფასად 600-800 ათას ევროს ასახელებდნენ. ნაპოლეონ ბონაპარტის კუთვნილი ქუდის ახალი მფლობელის ვინაობა უცნობია.




## ბაიდენმა ინდაურები შეიწყალა

**აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ტრადიციის თანახმად, მადლიერების დღესთან დაკავშირებით 2 ინდაური შეიწყალა. წელს, ინდაურებს ლიბერთისა და ბელს გაუმართლათ.**

მადლიერების დღეს უმეტესად შეერთებულ შტატებსა და კანადაში აღნიშნავენ. ტრადიციულად, მას ზეიმობენ მოსავლის აღების შემდეგ ღვთისადმი მადლიერების ნიშნად. მადლიერების დღეს აშშ-ში ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს აღნიშნავენ.

ტრადიციის მიხედვით, ამ დღეს აშშ-ში სადღესასწაულო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ინდაური, თუმცა თეთრ სახლში 1940 წლიდან ინდაურების შეწყალების ტრადიცია დამკვიდრდა.

1940-იანების შუა წლებში აშშ-ის პრეზიდენტის პოსტი ჰარი ტრუმენს ეკავა. მაშინ მან პირველად შეიწყალა დასაკლავად განწირული ინდაური. შემდეგ ტრუმენს სხვა პრეზიდენტებმაც მიბაძეს, თუმცა ცერემონიას ოფიციალური სახე მხოლოდ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს მისცეს.

## ნაყინი 6,696 დოლარი ღირს



**არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც საკვებში კოლოსალურ თანხებს იხდიან. ქვემოთ გთავაზობთ, რამდენიმე ძვირადღირებულ პროდუქტს, რომლის ფასებიც ნამდვილად განგაცვიფრებთ.**

ჩამონათვალში პირველ ადგილს ესპანური ყველი – კაბრალესი იკავებს. ის ძროხისა და თხის რძისგან მზადდება. 2,5 კილოგრამი კაბრალესის ფასი 32, 000 დოლარია. მეორე ადგილზე – ნაყინი, სახელწოდებით ბიაკუიაა, რომლის ღირებულებაც 6,696 დოლარია. ნაყინი იაპონიაში მზადდება. მისი შემქმნელების თქმით ის იშვიათ ინგრედიენტებს შეიცავს, რომლებიც რთულად მოიპოვება.

**„წელიწად-ნახევარი ვმუშაობდით, რომ ეს უჩვეულო გემოები მიგვეღო“,** – ამბობენ ისინი. მესამე ადგილს იკავებს კიბორჩხალას ნამცხვარი, რომლის ერთი ნაჭერიც 310 დოლარი ღირს. მეოთხე ადგილზე კი არის გინესის რეკორდის მქონე კარტოფილი ფრი, რომლის ერთი პორციის ღირებულებაც 200 დოლარია. მისი შეძენა მხოლოდ ნიუ-იორკის პრესტიჟულ რესტორანშია შესაძლებელი. შეფ მზარეული კარტოფილს ჯერ უმაღლესი კლასის შამპანურსა და ძმარში ხარშავს, შემდეგ სხვადასხვა ტემპერატურაზე ბატის ცხიმში წვავს. ბოლო ეტაპი კი ტრიუფელის ზეთის, ყველისა და სპეციალური სოუსის მოსხმაა.

## ცოლის მკვლელი ყაზახეთის ეკონომიკის მინისტრი

**საზარელი შემთხვევა ყაზახეთში, ასტანაში მოხდა. ქვეყნის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი კუანდიკ ბიშიმბაევი დაპატიმრებულია, თუმცა მისი გარდაცვლილი ცოლის სალტანატ ნუკენოვას ახლობლები შიშობენ, რომ გავლენიან მამაკაცს, რომელსაც 4 ადვოკატი იცავს, მალე გაათავისუფლებენ.**

სალტანატი ახლახან გახდა 31 წლის, ცხოვრება წინ ჰქონდა, თუმცა მეუღლე სასტიკად გაუსწორდა და მის დესპოტიზმს ემსხვერპლა.

ქალის ახლობლები სთხოვენ ყველას, რომ გვერდით დაუდგნენ და სათანადოდ დასაჯონ დამნაშავე. სთხოვენ ტრაგედიის თვითმხილველებს, გამოჩნდნენ და ითანამშრომლონ პოლიციასთან.




ტრაგედია 9 ნოემბერს მოხდა ასტანის რესტორანში, რომელიც თავად ბიშიმბაევს ეკუთვნის. ყოფილი მინისტრი მთელი ღამე სვამდა, ნომერში კი მალევე დაიწყო ჩხუბი, კამათის ხმას მალე ისეთი ხმები მოჰყვა, რომ რესტორანში მყოფები მიხვდნენ, კაცი ცოლს სცემდა. დასახმარებლად მალე კაცის ბიძაშვილი მივიდა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ სასწრაფო დახმარება იმ წუთას არავის გამოუძახია, არც პოლიცია. ადგილზე მისულ ბიძაშვილს რძალი სისხლის გუბეში დახვდა, ხრიალებდა, თუმცა ბიშიმბაევმა სასწრაფო არ გამოაძახებინა. მან ცოლს საბნები გადააფარა და ბიძაშვილთან ერთად სამუშაო კაბინეტში გავიდა, პერსონალს მოსთხოვა, სახლებში წასულიყვნენ. ნახევარ საათში ძმას მისწერა მესიჯი, რომ გასტროცენტრში ყველა სათვალთვალო კამერის ჩანაწერი წაეშალათ. მისი სურვილი მაშინვე აღსრულდა. ასე დაიწყო კაცმა დანაშაულის დაფარვა...

ქალს დახურული ქალა-ტვინის ტრავმა ჰქონდა, რისგანაც გარდაიცვალა. ვინ გამოიძახა სასწრაფო, დღემდე უცნობია – ოფიციანტმა თუ ტირანის ძმამ. გარდაცვალების მიზეზი ჯერჯერობით ოფიციალურად არ გაცხადებულა, ძიება რამდენიმე კვირაში დადებს დასკვნას, თუმცა ქალის ახლობლები ღელავენ, რომ ამ დროის განმავლობაში კაცი ყველაფერს იღონებს, რომ გამართლდეს.

როგორც ქალის ახლობლები ყვებიან, ბიშიმბაევი, რომლისთვისაც ეს მესამე ქორწინება იყო, ჩვეულებრივი ტირანია. ის გამუდმებით ეჭვიანობდა ცოლზე, უკრძალავდა ტელეფონის გამოყენებას და სახლიდან გასვლას, ხოლო თუ მცირე წინააღმდეგობას შეხვდებოდა, სცემდა. მეგობრები ქალს სთხოვდნენ, წამოსულიყო მისგან. როგორც ყვებიან, წამოვიდა კიდეც რამდენჯერმე, მაგრამ კაცი პოულობდა, საჩუქრებს ჩუქნიდა, ბოდიშებს უხდიდა და ურიგდებოდა...

მოამზადა
**რუსუდან ქობულიამ**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 24 ნოემბერს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6985; ევრო - 2.9327;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3545;
100 რუბლი - 3.0296; თურქული ლირა - 0.0940;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5860;
1000 სომხური დრამი - 6.7252

**ამინდი 22 ნოემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +10 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე +11 |
| თბილისი: | ღამე | +8, | დღე +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge